70

სახელმწიფო აუდიტის სამსახური

"ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ"

ეკონომიკური საქმიანობის სფეროს აუდიტის
დეპარტამენტის უფროსის მ/მ

თორნიკე შერმადინი

17 დეკემბერი
„--------"----------" 2012 წელი

ეგზ 2

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია"

საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის ფინანსური და შესაბამისობის აუდიტი

01.01.2007 – 01.01.2010 N 24/00

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა

შპს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის“ დირექტორთა საბჭოს

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების შესახებ

ჩვენ ჩავატარეთ შპს "საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის" თანდართული ფასს-ის შესაბამისი ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარის 2010 წლის 28 ივლისის N 77/43 ბრძანებით, რომელიც მოიცავს 2007, 2008 2009 წლების 31 დეკემბრისათვის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას და სრული შემოსავლის ანგარიშგებას, კაპიტალში ცვლილების ანგარიშგებას და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებას დასრულებული წლებისათვის, ასევე, ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის ძირითად პრინციპებსა და სხვა ახსნა-განმარტებით შენიშვნებს.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხიმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და მის სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით; ასევე ისეთი შიდა კონტროლის სისტემის შექმნასა და გამოყენებაზე, რომელიც კომპანიის ხელმძღვანელობის რწმენით, უზრუნველყოფს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებას, რომელიც არ შეიცავს თაღლითობის ან შეცდომის შედეგად წარმოშობილ არსებით შეცდომებს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

ჩვენი პასუხისმგებლობაა, ჩვენს მიერ ჩატარებულ აუდიტზე დაყრდნობით გამოვთქვათ მოსაზრება ამ ფინანსურ ანგარიშგებებზე. ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ეს სტანდარტები მოითხოვს, რომ ჩვენი სამუშაო შეესაბამებოდეს ეთიკის ნორმებს და აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მივიღოთ გონივრული რწმუნება იმისა, რომ ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს არსებით უზუსტობებს. მიგვაჩნია, რომ მტკიცებულებები, რომლებიც აუდიტის მსვლელობისას მოვიპოვეთ აუდიტის დასკვნისათვის საკმარის და მართებულ საფუძველს წარმოადგენს.

დასკვნის გაცემაზე უარის საფუძვლები

კომპანიას სს „თელეთის ნავთობის კომპანია“-დან გადმოეცა გეოლოგიური და სხვა ნავთობის და გაზის მოპოვებისათვის საჭირო მნიშვნელოვანი სამეცნიერო ნაშრომები, რაც დოკუმენტურად არსად არ ფიქსირდება. რაოდენობრივად ეს ფონდები არის დაახლოებით 1819 ერთეული, საიდანაც მხოლოდ 17 ნაშრომია შეფასებული და ასახული ბუღალტრულ ჩანაწერებში 1,212,688 ლარად. ხოლო სხვა დანარჩენი აღურიცხავია. ეს კი წინააღმდეგობაში მოდის ბასს-38 „არამატერიალური აქტივების“ მოთხოვნებთან.

2008 წლის 1 იანვრამდე არ მომხდარა ძირითადი საშუალებების რეალური ღირებულებით შეფასება.

2009 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მოხდა ძირითადი საშუალებების გადაფასება, რაც ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის ასახული.

კომპანიას არ ჩაუტარებია 2007 და 2008 წლის 31 დეკემბრის მდომარეობით, სასაქონლო მატერიალური ფასეულობების ინვენტარიზაცია;

ჩვენ ვერ გამოვთქვამთ რწმუნებას 2007 წლის საწყის ნაშთებზე:

კომპანიას სრულად არ მოუხდენია გადავადებული საგადასახადო აქტივის ან ვალდებულების ფინანსურ ანგარიშგებაში ასახვა, რაც ეწინააღმდეგება ბასს -12 „მოგებიდან გადასახადების“ მოთხოვნებს;

კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული საგადასახადო ვალდებულებები არ ედრება საგადასახადო შედარების აქტებში ასახულ მონაცემებს, რის გამოც ვერ მოვახდინეთ საგადასახადო ვალდებულების სწორი ნაშთის გარკვევა;

დასკვნა

იმის გამო, რომ ყველა ზემოჩამოთვლილი გარემოებები წარმოადგენს ფუნდამენტალურად მნიშვნელოვან საკითხებს, ჩვენ ვერ გამოვთქვამთ მოსაზრებას ფინანსურ ანგარიშგებაზე.

დასკვნა შესაბამისობაზე

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა კანონთან შესაბამისობაზე

ფინანსური ანგარიშგების მომზადებასთან ერთად, ხელმძღვანელობა ასევე პასუხისმგებელია ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული ოპერაციების მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

ფინანსურ ანგარიშგებაზე მოსაზრების გამოთქმასთან ერთად, ჩვენი პასუხისმგებლობაა გამოვთქვათ მოსაზრება ორგანიზაციის ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული ოპერაციების მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობაზე, რაც გულისხმობს აუდიტის იმგვარად დაგეგმვას და ჩატარებას, რომ მივიღოთ გონივრული რწმუნება იმისა, რომ ფინანსური ანგარიშგებაში ასახული ოპერაციები შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან, ყველა არსებით ასპექტში. მიგვაჩნია, რომ მტკიცებულებები, რომლებიც აუდიტის მსვლელობისას მოვიპოვეთ აუდიტის დასკვნისათვის საკმარის და მართებულ საფუძველს წარმოადგენს.

უარყოფითი დასკვნის საფუძვლები

აუდიტის ობიექტის მიერ განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვები არ არის შესაბამისობაში აუდიტს დაქვემდებარებულ პერიოდში სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებით მოქმედ კანონმდებლობასთან. ეს ეხება შესყიდვების წლიური გეგმის სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში დაგვიანებით წარდგენას, შესყიდვების წლიურ გეგმაში შესყიდვების პროცედურების სავარაუდო ვადების მიუთითებლობას, სატენდერო განაცხადში დოკუმენტაციის გატანის ვადას, სატენდერო კომისიის წევრების შერჩევას, შესყიდვების გეგმასა და გაფორმებულ ხელშეკრულებებში დაფიქსირებული ღირებულებითი მაჩვენებლების შეუსაბამობას, შესყიდვებთან დაკავშირებული შეტყობინებებისა და ანგარიშების სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში წარუდგენლობას და სხვა.

დასკვნა

ჩვენი აზრით, აღნიშნული საკითხების მნიშვნელობისა და არსებითობის გამო, ოპერაციები რომლებიც წარმოებულია 2007-2008 წლებში შპს "საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის" მიერ არ არის შესაბამისობაში შესაბამის პერიოდებში მოქმედ კანონმდებლობასთან.

მნიშვნელოვანი საკითხების ხაზგასმა

დასკვნის გაცემის გარეშე, გვინდა ცალკე ავღნიშნოთ ქვემოთ მოცემული მნიშვნელოვანი საკითხების ჩამონათვალი, კერძოდ:

-აუდიტს დაქვემდებარებულ პერიოდში მთავრობის განკარგულებებით დადგენილი ფასების გაუთვალისწინებლად რეალიზებულია 157,2 მლნ. კუბ. მეტრი გაზი. ეს დიდწილად განაპირობა იმანაც, რომ მთავრობის განკარგულებები, რომელთა საშუალებითაც რეგულირდებოდა ბუნებრივი აირის ფასები, იყო ურთიერთსაწინააღმდეგო შინაარსის შემცველი, ხოლო ფასების 2008 წლის დეკემბერში და 2009 წლის აპრილში მიღებული ცვლილებების უზრუნველყოფა მოითხოვებოდა 2008 წლის 1 იანვრიდან.

-აუდიტს დაქვემდებარებულ პერიოდში, ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 5 აპრილის №220 ბრძანებით დადგენილ ნორმებს ზევით ანაზღაურებულია 78,5 ათ. ლარის სამივლინებო ხარჯი. ასეთ ფაქტებს ადგილი ჰქონდა სისტემატურად, საზღვარგარეთ

თითქმის ყოველი მივლინებისას (149 შემთხვევა).

-ტრესტ „ნეფტგაზტიკინტმა“, კორპორაციასთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, 1218,5 ათ. ტონა მილის გარდაბნის და ველის სარკინიგზო სადგურებიდან ლილოში ტრანსპორტირება მოახდინა 187,6 ათ. ლარად, ანუ ერთი ტონა მილის დატვირთვა, 50 კილომეტრზე ტრანსპორტირება და ჩამოტვირთვა განხორციელდა 154 ლარად. შედარებისთვის აღვნიშნავთ, რომ ანალოგიურ მომსახურებაში, "გაზის ტრანსპორტირების კომპანიასთან" გაფორმებული ხელშეკრულებების საფუძველზე კორპორაციას ერთი ტონა მილის 55 კილომეტრზე ტრანსპორტირებაში გადახდილი აქვს 81 ლარი, ხოლო 30 კილომეტრზე ტრანსპორტირებაში - 55 ლარი (დატვირთვა-ჩამოტვირთვის ღირებულების ჩათვლით).

-2007 წლის დეკემბერში მოსაწოდებელი გაზის ღირებულება შპს "ენერჯი ინვესტს" ხელშეკრულების თანახმად უნდა ანაზღაურებოდა გაზის მოწოდების შემდეგ. მას კი ავანსად ჩაერიცხა 8500,0 ათ. ლარი. 2008 წლის 1 აპრილისთვის "ენერჯი ინვესტზე" რიცხულმა დებიტორულმა დავალიანებამ შეადგინა 12611,0 ათ. ლარი, რომელიც მის მიერ დაფარული იქნა თანხების ეტაპობრივად დაბრუნების გზით, 2008 წლის მაის-ივნისში. თანხების დაბრუნების ასეთი ფორმა და ვადები კორპორაციისთვის, მისი ფინანსური მდგომარეობიდან გამომდინარე, მიუღებელი უნდა ყოფილიყო.

-2006 წლის 14 მარტს "საქართველოს გაზის საერთაშორისო კორპორაციასა" და კომპანია "Hansa Luftbild"-ს შორის გაფორმდა 326,1 ათ. ევროს ღირებულების კონტრაქტი ჩრდილოეთი-სამხრეთის მაგისტრალური მილსადენის გეოინფორმაციული სისტემის და საკადასტრო რუკების მომზადების შესახებ, რომლის დაფინანსებაც ხდებოდა მსოფლიო ბანკის მიერ სახელმწიფოსათვის გამოყოფილი სესხით. 2007 წლის 1 იანვრისათვის კონტრაქტორისთვის გადახდილი იყო 260,4 ათ. ევრო, თუმცა მიღებული იყო სამუშაოების მხოლოდ მცირე ნაწილი. მსოფლიო ბანკის კრედიტით დაფინანსებული ერთ-ერთი პრიორიტეტული პროექტი არ შესრულდა, მიუხედავად იმისა, რომ დახარჯული იქნა პროექტის განსახორციელებლად გამოყოფილი თანხების 80%. გარდა ამისა, შეუსრულებელი სამუშაოების განსაზღვრისა და მათი დასრულებისათვის საჭირო თანხების დადგენის მიზნით, კორპორაციის მიერ დამატებით გაწეული იქნა 24,2 ათ. ლარის ხარჯი.

-კომპანია "ფრონტერა რისორსიზ ჯორჯია“ (შემდგომში "ფრონტერა") საქართველოში ნავთობს მოიპოვებს 1997 წლიდან. 1997-2009 წლებში მისი ფინანსური განაცხადებიდან გამომდინარე საკომპენსაციო ნავთობიდან "ფრონტერას" ასანაზღაურებული აქვს 248,3 მლნ. აშშ დოლარის ხარჯი. მთელი ამ პერიოდის განმავლობაში სახელმწიფოს მისგან არ მიუღია არც ერთი ტონა ნავთობი, ანუ "ფრონტერას" მიერ ამოღებული ნავთობი მთლიანად ხარჯების ანაზღაურებას ხმარდებოდა და მოგების ნავთობი არ რჩებოდა. რამდენად რეალური იყო ეს ხარჯები და რამდენად ექვემდებარებოდა ისინი საკომპენსაციო ნავთობით ანაზღაურებას დადგენილი არა არის, რადგან 2006 წლამდე პერიოდში "ფრონტერას" ფინანსური განაცხადით წარმოდგენილ ხარჯებს აუდიტი

ჩატარებული არ აქვს. საკითხის მნიშვნელობა იზრდება, თუ გავითვალიწინებთ, რომ აუდიტს დაქვემდებარებულ პერიოდში "ფრონტერას" მიერ წარმოდგენილი ხარჯები (133,7 მლნ. აშშ დოლარი) 2-ჯერ აღემატება ყველა დანარჩენი ინვესტორის მიერ წარმოდგენილ ხარჯებს ერთად აღებულს (66,1 მლნ. აშშ დოლარი).

-კორპორაცია დაინტერესებული უნდა იყოს ინვესტორზე განაწილებული ნავთობის მაღალი სარეალიზაციო ფასით, რათა ინვესტორის ხარჯების ანაზღაურებას დაჭირდეს უფრო ნაკლები ოდენობის საკომპენსაციო ნავთობი. აღმოჩნდა, რომ კორპორაცია უფრო ძვირად ყიდის მის წილ ნავთობს ვიდრე ინვესტორები. სასურველია ინვესტორების მიერ განხორციელებული ინვესტიციების აუდიტისას, კორპორაციის მიდგომა იყოს ისეთივე, როგორიც გამოვლენილი იქნა მის მიერ „ნინოწმინდის ნავთობის კომპანიის" ინვესტიციების აუდიტის შემთხვევაში, როდესაც კომპანიის შემოსავალი დაექვემდებარა კორექტირებას, რადგან მის მიერ რეალიზებული გაზის საშუალო შეწონილმა ღირებულებამ შეადგინა გაცილებით ნაკლები კორპორაციის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით.

კორპორაციის ზოგადი აღწერილობა

შპს "საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია" დაარსებულია 100%-იანი სახელმწიფო საკუთრებით, 2006 წლის 21 მარტს საქართველოს ეკონომიკის მინისტრის ბრძანებით, სამი ქართული სახელმწიფო კომპანიის საფუძველზე, ესენია: სს "საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია", სს "საქართველოს გაზის საერთაშორისო კორპორაცია" და სს "თელეთის ნავთობ კომპანია". შესაბამისად, 2006 და 2007 წლებში სს "საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციამ" და სს "საქართველოს გაზის საერთაშორისო კორპორაციამ" შეწყვიტეს არსებობა და აქტივები და ვალდებულებები გადაეცა კომპანიას. 2007 წლის ნოემბერში კი სს "თელეთის ნავთობ კომპანიის" აქციები გადაეცა საქართველოს მთავრობას. დაკავშირებულ მხარეთა ტრანზაქციების დეტალები მოყვანილია შენიშვნაში 27. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, კახეთის გზატკეცილი, 21. კომპანიის ძირითადი საქმიანობა მის შვილობილებთან ერთად, არის გაზის იმპორტი და გაყიდვა, გადამცემი გაზსადენის მუშაობა საქართველოს ტერიტორიაზე, გაზის მიწოდება სომხეთის რესპუბლიკისათვის და ნავთობისა და გაზის მოპოვება-ამოღება საქართველოს ტერიტორიაზე. 1996 წელს სამგორი-ბათუმის გზაზე არსებული ნავთობსადენი საქართველოს მთავრობის მიერ გადაცემულ იქნა სს "საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციის" საწედებო კაპიტალში. ნავთობსადენი, შემდგომში 30 წლის ვადით გაიცა იჯარით ნავთობის ექსპორტიორ კომპანიაზე. ეს აქტივი ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახა, რამდენადაც ფინანსურ იჯარად იქნა კლასიფიცირებული, რადგან მისი ვადა აქტივის ეკონომიკურად მომგებიანი პერიოდის ძირითადი ნაწილისთვის არის განსაზღვრული. იჯარაში წმინდა ინვესტიცია ნულის ტოლია, რადგან კომპანიის მიერ მისაღები საიჯარო შემოსავალი ნავთობსადენის გამოყენებაზეა დამოკიდებული. 2006 წლის დეკემბერში, პრეზიდენტის N736 ბრძანებულებით, კომპანიას ასევე მიენიჭა " ნავთობის ეროვნული კომპანიის" სტატუსი და იგი მოქმედებს საქართველოს სახელმწიფოს სახელით, იღებს და მართავს კონტრაქტორების მიერ საქართველოს ტერიტორიაზე მოპოვებული და დამუშავებული ნავთობის სახელმწიფო წილს ნავთობისა და გაზის შესახებ საქართველოს კანონისა და პროდუქციის წილობრივი განაწილების შეასხებ სახელმწიფოსა და კონტრაქტორებს შორის გაფორმებული ხელშეკრულებების შესაბამისად. კომპანიას არ უღიარებია ეს უფლება როგორც არამატერიალური აქტივი, რამდენადაც იგი არ აკონტროლებს ამ უფლებას.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	2009	2008	2007
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	1	275,247	244,882	133,363
არამატერიალური აქტივები		847	4,533	8,673
ინვესტიციები	2	10,362	10,344	11,248
გაცემული სესხები	3	1,182	864	534
დაუმთავრებელი მშენებლობა		4,983	4,555	12,957
ავანსები გრძელვადიან აქტივებზე		235	231	708
სულ გრძელვადიანი აქტივები		**292,856**	**265,409**	**167,483**
მიმდინარე აქტივები				
მარაგები	4	32,097	39,598	32,702
გადახდილი ავანსები მიმდინარე აქტივებში და ხარჯებში	5	1,371	2,994	1,372
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6	84,271	105,096	46,751
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	7	(635)	14,566	27,252
სულ მოკლევადიანი აქტივები		**117,104**	**162,254**	**108,077**
სულ აქტივები		**409,960**	**427,663**	**275,560**
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები				
საკუთარი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი	8	194,268	166,141	142,684
გადაფასების რეზერვი		157,405	125,761	18,934
გაუნაწილებელი მოგება (ზარალი)		(43,870)	(88,883)	(49,576)
სულ საკუთარი კაპიტალი		**307,803**	**203,019**	**112,042**
გრძელვადიანი ვალდებულებები				
სახელმწიფო გრანტი		-	-	4,445
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	9	86,918	123,611	121,849
გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები		12,879	12,879	2,564
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		**99,797**	**136,490**	**128,858**
მოკლევადიანი ვალდებულებები				
მოკლევადიანი სესხები	10	20,034	44,251	18,641
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	11	(18,401)	39,008	22,728
გადასახდელი მოგების გადასახადი		1,470	390	2,672
სხვა საგადასახადო გადასახადი	12	(743)	4,505	(9,381)
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		**2,360**	**88,154**	**34,660**
სულ ვალდებულებები		**102,157**	**224,644**	**163,518**
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		**409,960**	**427,663**	**275,560**

სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია“
ფინანსური და შესაბამისობის აუდიტის ანგარიში
2007, 2008, 2009 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ათას ლარებში)

სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენიშვნა	2009	2008	2007
ამონაგები				
შემოსავალი რეალიზაციიდან	13	159,295	344,927	242,476
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	14	(112,352)	(330,882)	(204,182)
მოგება საოპერაციო საქმიანობიდან		**46,943**	**14,045**	**38,294**
ცვეთა და ამორტიზაცია	15	(24,003)	(23,377)	(6,707)
ადმინისტრაციული ხარჯები	16	(10,509)	(9,964)	(9,158)
გადასახადები, შემოსავლის გარდა	17	(2,727)	(2,553)	(1,232)
სხვა ხარჯები	18	(6,433)	(4,362)	(874)
სხვა შემოსავალი	19	43,742	25,413	12,086
შედეგი საოპერაციო საქმიანობიდან		**47,013**	**(798)**	**32,409**
სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურება		(15,323)	(15,219)	(66,627)
წმინდა მოგება (ზარალი) კურსთაშორის სხვაობიდან		(139)	4,967	(995)
საპროცენტო ხარჯი		(6,752)	(7,503)	(4,249)
საპროცენტო შემოსავალი		421	2,027	1,496
მოგება დაბეგვრამდე		**25,220**	**(16,526)**	**(37,966)**
მოგების გადასახადი		(2,900)	(1,062)	(4,792)
მოგება დაბეგვრის შემდეგ		**22,320**	**(17,588)**	**(42,758)**
ქონების გადაფასებიდან მიღებული შემოსულობა		31,644	106,826	21,455
სრული შემოსავალი წლის განმავლობაში		**53,964**	**89,238**	**(21,303)**

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

	2009	2008	2007
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
მოგება დაბეგვრის შემდეგ	22,320	(17,588)	(42,758)
კორექტირება:			
ცვეთა და ამორტიზაცია	24,003	23,377	6,707
სავაჭრო მოთხოვნის გაუფასურება	15,662	14,852	6,618
საპროცენტო შემოსავალი	(421)	(2,027)	(1,496)
საპროცენტო ხარჯი	6,752	7,503	4,249
ვალუტის კურსის ცვლილებით მიღებული (მოგება) ზარალი	139	(4,967)	995
მოგება/ზარალი საოპერაციო საქმიანობიდან საბრუნავ კაპიტალში ცვლილებამდე	**68,455**	**21,150**	**(25,685)**
ცვლილება მარაგებში	7,501	(6,896)	(28,839)
ცვლილება სავაჭრო მოთხოვნებში	5,163	(73,197)	(31,349)
ცვლილება წინასწარ გადახდილ მიმდინარე აქტივებში და ხარჯებში	1,191	7,258	(2,818)
ცვლილება ჩასათვლელ დამატებული ღირებულების გადასახადში	-	-	-
ცვლილება სავაჭრო ვალდებულებებში	(57,409)	16,280	26,485
ცვლილება სხვა საგადასახადო ვალდებულებებში	(2,330)	21,918	(1,480)
ფულადი ნაკადები ოპერაციებიდან მოგების გადასახადის და პროცენტის გადახდამდე	**(45,884)**	**(34,637)**	**(38,001)**
გადახდილი მოგების გადასახადი	(1,837)	-	(3,708)
გადახდილი პროცენტი	(8,223)	(4,070)	(598)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	**(10,060)**	**(4,070)**	**(4,306)**
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			

ინვესტიციები	(18)	904	15,465
ძირითადი საშუალებების შემენა	(22,466)	(27,540)	(100,197)
არამატერიალური აქტივის შემენა	3,429	3,610	(8,857)
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	**(19,055)**	**(23,026)**	**(93,589)**
ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან			
გაცემული სესხები	103	1,696	(4,783)
სესხის დაფარვა	(59,578)	24,459	132,390
ცვლილებები კაპიტალში	50,818	1,742	61,864
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	**(8,657)**	**27,897**	**189,471**
წმინდა ფულადი სახსრების ზრდა/შემცირება	**(15,201)**	**(12,686)**	**27,890**
ფულადი სახსრებისაანგარიშო პერიოდის დასაწყისისთვის	**14,566**	**27,252**	**(638)**
ფულადი სახსრებისაანგარიშო პერიოდის ბოლოსათვის	**(635)**	**14,566**	**27,252**

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება (ზარალი)	სულ
ნაშთი 2006 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**100,583**	**-**	**(7,643)**	**92,940**
საწესდებო კაპიტალი ზრდა (შემცირება)	42,100			**42,100**
ძირითადი საშუალებების გადაფასება		18,934		**18,934**
"სნსკ"-ს გაუნაწილებელი მოგების შერწყმა "სნგკ"-სთან			826	**826**
სრული შემოსავალი (ზარალი) წლის განმავლობაში			(42,758)	**(42,758)**
ნაშთი 2007 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**142,683**	**18,934**	**(49,575)**	**112,042**
საწესდებო კაპიტალი ზრდა (შემცირება)	23,456			**23,456**
ძირითადი საშუალებების გადაფასება		106,826		**106,826**
გაუნაწილებელ მოგებაზე მოხვედრილი თანხები			(21,717)	**(21,717)**
სრული შემოსავალი (ზარალი) წლის განმავლობაში			(17,588)	**(17,588)**
ნაშთი 2008 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**166,139**	**125,760**	**(88,880)**	**203,019**
საწესდებო კაპიტალი ზრდა შემცირება	28,131			**28,131**
ძირითადი საშუალებების გადაფასება		31,644		**31,644**
გაუნაწილებელ მოგებაზე მოხვედრილი თანხები			(10,811)	**(10,811)**
სრული შემოსავალი (ზარალი) წლის განმავლობაში			22,320	**22,320**
შვილობილიდან მიღებული დივიდენდი			33,500	**33,500**
ნაშთი 2009 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**194,270**	**157,404**	**(43,871)**	**307,803**

ბუღალტერიაში, გადავადებული საგადასახადო ვალდებულება და მიღებული სესხის დისკონტირების თანხა ნაცვლად შემოსავლებისა და ხარჯის ანგარიშზე გატარებისა, გატარდა პირდაპირ გაუნაწილებელი მოგების ანგარიშზე, რაც საბოლოო რეზულტატს არ ცვლის თუმცა, ბასს 1-ის (ფინანსური ანგარიშგების წარდგენა) მოთხოვნებს ეწინააღმდეგება.

შენიშვნები

1. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	მიწა	შენობა ნაგებობები	მანქანა დანადგარები	გაზის და ნავთობის მილსადენები	ოფისის აღჭურვილობა	სხვა	იჯარით აღებული ქონება	არამატერიალური აქტივები	სულ
ნაშთი 2006 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**9,802**	**1,013**	**3,177**	**51,322**	**643**	**73**	**-**	**24**	**66,054**
შესყიდვები	1,766	12,246	1,706	90,293	1,189	1,090	17	8,861	**117,168**
გაყიდვები	-	(9)	(174)	(270)	(4)	(10)	-	-	**(467)**
ნაშთი 2007 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**11,568**	**13,250**	**4,709**	**141,345**	**1,828**	**1,153**	**17**	**8,885**	**182,755**
შესყიდვები	14,205	24,116	5,755	143,129	2,737	1,945	5,205	21	**197,113**
გაყიდვები	(63)	(21,146)	(6,618)	(176,264)	(2,978)	(1,487)	(4,366)	(3,631)	**(216,553)**
გადაფასების ნამეტი	4,900	27,388	75	76,595	(286)	781	-	-	**109,453**
ნაშთი 2008 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**30,610**	**43,608**	**3,921**	**184,805**	**1,301**	**2,392**	**856**	**5,275**	**272,768**
შესყიდვები	867	1,313	1,446	53,965	112	22	3,812	-	**61,537**
გაყიდვები	(957)	(373)	(365)	(2,113)	(43)	(248)	(3,812)	(3,893)	**(11,804)**
ნაშთი 2009 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**30,520**	**44,548**	**5,002**	**236,657**	**1,370**	**2,166**	**856**	**1,382**	**322,501**
დაგროვილი ცვეთა									
დაგროვილი ცვეთა 2006 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	(318)	(1,145)	(24,511)	(357)	(30)	-	(5)	**(26,366)**
ცვეთა	-	(2,620)	(882)	(9,778)	(786)	(312)	(1)	(207)	**(14,586)**
გაყიდვების დაგროვილი ცვეთა	-	-	99	129	2	3	-	-	**233**
დაგროვილი ცვეთა 2007 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**-**	**(2,938)**	**(1,928)**	**(34,160)**	**(1,141)**	**(339)**	**(1)**	**(212)**	**(40,719)**
ცვეთა	-	(20,007)	(439)	(1,619)	(1,248)	(17)	(68)	(530)	**(23,928)**
გაყიდვების დაგროვილი ცვეთა	-	3,566	2,002	34,237	1,151	338	-	-	**41,294**
დაგროვილი ცვეთა 2008 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**-**	**(19,379)**	**(365)**	**(1,542)**	**(1,238)**	**(18)**	**(69)**	**(742)**	**(23,353)**
ცვეთა	-	(21,090)	(394)	(1,519)	(675)	-	(68)	(257)	**(24,003)**
გაყიდვების დაგროვილი ცვეთა	-	248	13	27	197	-	-	464	**949**
დაგროვილი ცვეთა 2009 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**-**	**(40,221)**	**(746)**	**(3,034)**	**(1,716)**	**(18)**	**(137)**	**(535)**	**(46,407)**
საბალანსო ღირებულება 2007 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**11,568**	**10,312**	**2,781**	**107,185**	**687**	**814**	**16**	**8,673**	**142,036**
საბალანსო ღირებულება 2008 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**30,610**	**24,229**	**3,556**	**183,263**	**63**	**2,374**	**787**	**4,533**	**249,415**
საბალანსო ღირებულება 2009 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**30,520**	**4,327**	**4,256**	**233,623**	**(346)**	**2,148**	**719**	**847**	**276,094**

1.2 ძირითადი საშუალებების რეალიზაცია და ჩამოწერა

აუდიტს დაქვემდებარებულ პერიოდში რეალიზებულია კორპორაციის ბალანსზე რიცხული შემდეგი ძირითადი საშუალებები: ავტომანქანები გაზ-3110 და BMW-330C1, ჰიდრავლიკური ექსკავატორი და ტრაქტორი K-701. რეალიზაცია განხორციელებულია აუქციონის ფორმით და მიღებულმა თანხამ შეადგინა 14,4 ათ.ლარი. კორპორაციის მიერ ჩამოწერილი ძირითადი საშუალებები მოცემულია ცხრილში:

ჩამოწერილი ძირითადი საშუალებები	ათ. ლარში
გაზსადენი	907
სატვირთო მანქანები	23
ავტობუსები	4
კავშირგაბმულობის საშუალებები	24
კომპიუტერები	10
ავეჯი	4
პონტანური ხიდი	9
სპეცტექნიკა	22
მსუბუქი ავტომობილები	28
სულ	**1,030**

1.3 ქონების იჯარით გაცემა

მაღალი წნევის მაგისტრალური გაზსადენი და მასთან არსებული ინფრასტრუქტურა, გაზის აღრიცხვის მოწყობილობები, მანქანა-მექანიზმები და შენობა - ნაგებობები იჯარით გადაცემულია "საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიაზე", რომელთანაც საიჯარო ხელშეკრულება გაფორმებულია "საქართველოს გაზის საერთაშორისო კორპორაციის" მიერ 2006 წლის 1 აგვისტოს. ხელშეკრულებით საიჯარო ქირის ოდენობა განისაზღვრა 560000 ლარით თვეში (აქ და შემდგომშიც საიჯარო ქირის ოდენობა მოცემული იქნება დღგ-ს გარეშე), ხოლო მოქმედების ვადა 2010 წლის 1 აგვისტომდე. იჯარით ქონების აღნიშნული გადაცემა არ ყოფილა შეთანხმებული "საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციასთან" (რომელიც იმ დროისათვის ფლობდა "საქართველოს გაზის საერთაშორისო კორპორაციის" აქციების 100%-ს). "საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციასა" და "საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიას" შორის 2008 წლის 1 აგვისტოს გაფორმებული შეთანხმებით 2008 წლის 1 იანვრიდან 14 ივლისის ჩათვლით იჯარის ყოველთვიური გადასახადი განისაზღვრა 1560000 ლარით, ხოლო 2008 წლის 15 ივლისიდან - 1574025 ლარით. აღნიშნულის გარდა, აუდიტს დაქვემდებარებულ პერიოდში, საიჯარო ქირის ოდენობა კიდევ შეიცვალა 7-ჯერ. ეს ცვლილებები დაკავშირებული იყო იჯარით ქონების დამატებით გადაცემასთან ან იჯარით გადაცემული ქონების ნაწილობრივ დაბრუნებასთან. 2009 წლის ბოლო ცვლილებით იჯარის ყოველთვიური გადასახადი განისაზღვრა 1912880 ლარის ოდენობით.

გარდა აღნიშნულისა, "საქართველოს გაზის საერთაშორისო კორპორაციის" მიერ "საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიისათვის" მანქანა-მექანიზმები იჯარით გადაცემულია 2006 წლის 15 სექტემბრის ხელშეკრულებითაც (3 ერთეული ექსკავატორი და ტრაქტორი). ყოველთვიური საიჯარო ქირა განისაზღვრა 9222 ლარით. გადაცემა არ არის შეთანხმებული "საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციასთან", რომელიც იმ დროისათვის ფლობდა "საქართველოს გაზის საერთაშორისო კორპორაციის" აქციების 100%-ს.

2006 წლის 24 ოქტომბერს "საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციასა" და "საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიას" შორის გაფორმებული შეთანხმებით ხელშეკრულებაში შევიდა ცვლილება და იჯარით აღებულ მანქანა-მექანიზმებს დაემატა 167,6 ათ. ევროდ შეფასებული ექსკავატორი, ხოლო იჯარის ქირა განისაზღვრა 14094 ლარით. აღნიშნული ექსკავატორის იჯარით აუქციონის ან კონკურსის გარეშე გადაცემა ეწინააღმდეგება ეკონომიკური განვითარების მინისტრის ბრძანებას[1].

"საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანია" განთავსებულია კორპორაციის ადმინისტრაციული შენობის მე-6 სართულის 881 კვ. მეტრ ფართობზე, რომელიც მას იჯარით გადაეცა 2007 წლის 1 მარტს სს "საქართველოს ნავთობსადენების კომპანიასთან" (რომლის ბალანსზეც ირიცხებოდა იმ დროისათვის აღნიშნული შენობა) გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე. აღნიშნული ხელშეკრულებით საიჯარო ქირა განისაზღვრა 516,8 ლარის ოდენობით, ხოლო მოქმედების ვადა - 2009 წლის 1 იანვრამდე. უნდა აღინიშნოს, რომ ფართი "საქართველოს ნავთობსადენების კომპანიის" მიერ "საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიაზე" იჯარით გაცემულია აუქციონის ან კონკურსის ჩატარების გარეშე, რაც ეწინააღმდეგება ეკნომიკური განვითარების მინისტრის ბრძანებას[2]. ამასთან, რადგან იჯარით გასაცემი საერთო ფართი აღემატებოდა 50 კვ.მეტრს, მისი იჯარით გაცემა, ამავე დებულების მე-5 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, წინასწარ საჭიროებდა "საწარმოთა მართვის სააგენტოსთან" შეთანხმებას, რაც არ განხორციელებულა.

2008 წლის 31 დეკემბრის №სხ-374-08 ხელშეკრულებით, აღნიშნული ფართი "საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიაზე" იჯარით გაიცა "საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის" მიერ (რადგან უკვე ის წარმოადგენდა ფართის მფლობელს). ხელშეკრულებით და 2009 წლის 1 სექტემბრის შეთანხმებით საიჯარო ქირამ შეადგინა 8810 ლარი, ხოლო მოქმედების ვადა - 2010 წლის 31 დეკემბერი. იჯარით გაცემულ ფართს არ გააჩნია შესაბამისი განმხოლოებული მრიცხველები. განმარტების თანახმად, საიჯარო ქირა მოიცავს კომუნალურ გადასახადებს, თუმცა ხელშეკრულებაში აღნიშნულის შესახებ მითითებული არ არის. კორპორაციის სახსრებით ხდება "საქართველოს ნავთობსადენების კომპანიის" მიერ გაწეული კომუნალური ხარჯების დაფარვა, რომელსაც უკავია 261 კვ. მეტრი კუთვნილი ფართი ადმინისტრაციული შენობის მე-5 სართულზე.

სალიცენზიო ფართობებზე განთავსებული ქონება ინვესტორებს გადაცემული აქვთ იჯარით. კერძოდ: VIIB სალიცენზიო ფართობზე განთავსებული ქონება იჯარით გადაცემული იყო შპს "გლობალ ოილ ენდ ენერჯი ლიმიტედზე" 15821 ლარად თვეში, XIC სალიცენზიო ფართობზე განთავსებული ქონება - "ნორიოს საოპერაციო კომპანიაზე" 1987 ლარად თვეში, (ხსენებულ კომპანიებთან პწგხ-ს გაფორმებამდე, აღნიშნულ სალიცენზიო ფართობებზე განთავსებული ქონება იჯარით გადაცემული იყო "თელეთის ნავთობის კომპანიაზე" შესაბამისად 5645 და 339 ლარად თვეში), V სალიცენზიო ფართობზე განთავსებული ქონება - "აქსაი ბი ემ სი"-ზე 185 ლარად თვეში. XIB სალიცენზიო ბლოკზე ჭაბურღილები, როგორც წიაღის განუყოფელი

[1] ბრძანების ნომერი, №1-1/209, 19.11.04 დამტკიცებული "სახელმწიფოს 50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით არსებული საწარმოების ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებების განკარგვისა და გადაცემის წესის შესახებ დებულების" მე-5 მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნებს

[2] ბრძანების ნომერი, №1-1/209, 19.11.04 დამტკიცებული "სახელმწიფოს 50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით არსებული საწარმოების ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებების განკარგვისა და გადაცემის წესის შესახებ დებულების" მე-5 მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნებს

ნაწილი გადაეცა “ჯინდალს“ საიჯარო ქირის გადახდის გარეშე. ყველა სხვა ქონებაზე, მასთან გაფორმებული პწგხ-ს №14.1 პუნქტის თანახმად, საიჯარო ქირის დარიცხვა იწარმოებს საბაზისო ნავთობის სრულად გადაცემის შემდეგ, რაც იმას ნიშნავს, რომ ”ჯინდალი” არ განახორციელებს ქირის ფაქტიურ გადახდას კონტრაქტის ძალაში შესვლის თარიღიდან 13 წლის განმავლობაში. საიჯარო ქირა გაიანგარიშება საგადასახადო კოდექსით განსაზღვრული ამორტიზაციის ტარიფის გამოყენებით აქტივების ნარჩენ ღირებულებაზე იმ თარიღისათვის, როცა ხსენებული ქირის გადახდა გახდება ვადამოსული. საბაზისო ნავთობის სრულად მიღებამდე საიჯარო ქირა ითვლება ჩათვლილად საბაზისო ნავთობის ანგარიშში.

აუდიტს დაქვემდებარებულ პერიოდში იჯარით გაცემული სხვა საკუთრებები მოცემულია ცხრილში:

მოიჯარე	საგანი	მონაცემები	საიჯარო ქირა(ლარი)
სს" საგარეჯოგაზი"	ნინოწმინდის სათაო ნაგებობა	245-300მ	660
შპს ”გდო”	საგურამოს სახაზო-საქსპლუატაციო ფილიალში	2070	254,2
ლ.ბურძენიძე	საგურამოს სახაზო-საქსპლუატაციო ფილიალი	692	42,4
ინდ.მეწ.ხ.ჯავახიშვილი	საგურამოს დასახლება მაღაზია	32კვ.მ	55
შპს"სილქორ ინვაიორომენტალ სერვისიზ ინტერნეიშენალ	მილები	1022მმ,გრძივი 91,6მ	9322
შპს "ალფა-პლუსი"	მილები	1220 მმ,34,4 გრძ.მ	800

1.4 მატერიალურ ფასეულობათა უსასყიდლოდ გადაცემა

გადაცემული მატერიალური ფასეულობები მოცემულია ცხრილის სახით:

საგანი	დასახელება	რაოდენობა	ღირებულება(ლარებში)	მიმღები
მილები			3576,5	ეკონომიკის სამინისტრო
ცეცხლსასროლი იარაღი		3	2,8	ენერგეტიკის სამინისტრო
ავტომანქანები	ტოიოტა ჰაილუქსი	9	195,1	შსს სამინისტრო
ავტომანქანები	ტოიოტა ლექსუსი,მერსედეს ბენცი-ე 320,გაზ-66	3	52,0	ეკონომიკის სამინისტრო
კუთვნილი წილი	შპს "დაფგაზი"	8%	3,2	ეკონომიკის სამინისტრო
კუთვნილი წილი	შპს "ჯი-აი-სი კონტრაქტშენი"	100%	2,0	ეკონომიკის სამინისტრო
კუთვნილი წილი	შპს "საქართველოს გაზსაცავების კომპანია"	50%	1,0	ეკონომიკის სამინისტრო
კუთვნილი წილი	შპს "რაგბის კლუბი უნივერსიტეტი"	20%	0,4	ეკონომიკის სამინისტრო
ლიცენზია	ნავთობისა და გაზის ოპერაციების წარმოების ლიცენზია	1	3892,7	ეკონომიკის სამინისტრო
გაზსადენი	წნორი-ლაგოდეხის საშუალო წნევის გაზსადენი	1	58,1	ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი

კორპორაციის ქონების ზემოაღნიშნული განკარგვები ნაწარმოებია პარტნიორის თანხმობით, ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2004 წლის 19 ნოემბრის №1-1/209 და 2007 წლის 7 ივნისის №1-1/875 ბრძანებებით დამტკიცებული დებულებების შესაბამისად.

1.5 მატერიალური ფასეულობების უსასყიდლოდ მიღება

84

2007 წლის ნოემბერში, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, კორპორაციას გადაეცა სს "საგარეჯოგაზის" საკუთრებაში არსებული, გაზის ავტომატური მარეგულირებელი სადგურიდან გაზის მარეგულირებელ პუნქტამდე მიმავალი 219 მმ დიამეტრის 6345 გრძივი მეტრი გაზსადენი, ნარჩენი ღირებულებით 16,6 ათ. ლარი. ხელშეკრულება (№სხ-107-07, 5.11.07) გაფორმდა ერთი წლის ვადით, რომელიც 2008 წლის 25 იანვარს გაგრძელდა 2009 წლის 6 ნოემბრამდე. აღნიშნული გაზსადენის საექსპლუატაციო მდგომარეობაში მოყვანისა და "საგარეჯოგაზის" გაზგამანაწილებელ ქსელში ჩართული აბონენტების შეუფერხებელი გაზმომარაგებისათვის კორპორაციამ გაწია 991,8 ათ. ლარის ხარჯი (დღგ-ს ჩათვლით, აღნიშნულ სამუსაოს ჩასატარებლად ხელშეკრულება დაიდო შპს „ნიუ ენერჯისთან“). ფაქტობრივად აშენდა ახალი მონაკვეთი, რადგან არსებული 219 მმ-იანი მონაკვეთი შეიცვალა 250 მმ-იანი მონაკვეთით, რასაც უზუფრუქტის ხელშეკრულება არ ითვალისწინებდა და არც რაიმე შეთანხმება დადებულა "საგარეჯოგაზთან", ასევე ვერ იქნა წარმოდგენილი მშენებლობის ნებართვა.

საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 25 დეკემბრის №888 ბრძანებით "საგარეჯოგაზის" 1,3 ლარის ნომინალური ღირებულების 99875 აქცია (97,987%) პირდაპირი მიყიდვის ფორმით გადაეცა შპს "სოკარ ჯორჯია გაზს". კორპორაციის ფინანსურმა დირექტორმა 2009 წლის 27 ოქტომბრის №2710-9-12/4 წერილით "საგარეჯოგაზის" და "სოკარ ჯორჯია გაზის" დირექტორებს აცნობა, რომ აღნიშნული გაზსადენის სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარებისას განხორციელდა ექსპლუატაციისათვის უვარგისი 219 მმ-იანი 2920 გრძივი მეტრი ლითონის მილების დემონტაჟი, რომლებიც გადაეცა "საგარეჯოგაზს". წერილში აღნიშნულია, რომ ახლად აშენებული 3870 გრძივი მეტრის სიგრძის მონაკვეთი წარმოადგენს კორპორაციის საკუთრებას, ხოლო არსებულ გაზსადენში "საგარეჯოგაზის" კუთვნილი მონაკვეთის სიგრძე შეადგენს 1762 გრძივ მეტრს და ითხოვა აღნიშნული მონაკვეთის მისთვის გადაბარება, რაც დღემდე არ განხორციელებულა. უზურფრუქტის ხელშეკრულების თანახმად (პუნქტი №5.2) უზურფრუქტით მიღებული ქონება მესაკუთრეს უნდა ჩაბარებოდა ხელშეკრულების ვადის გასვლიდან 10 დღეში. კორპორაციამ ბალანსზე აიყვანა ახლად აშენებული 3870 გრძივი მეტრის სიგრძის მონაკვეთი, თუმცა საჯარო რეესტრში იგი მის კუთვნილებად დარეგისტრირებული არ არის.

2. ინვესტიციები

ინვესტიციები 2007, 2008, 2009 წლების 31 დეკემბრისათვის შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	2009	წილი	2008	წილი	2007	წილი
შპს "გაზის ტრანსპორტირების კომპანია"	66	100%	66	100%	66	100%
შპს "დაფგაზი"	-		-		3	8%
შპს "საქართველოს გაზსაცავების კომპანია"	-		-		1	50%
შპს "ჯი აი სი კონსტრაქშენი"	-		-		2	100%
შპს "იორის ველი ნავთობი და გაზი"	8,760	100%	8,760	100%	8,760	100%
შპს " საქგეოსერვისი"	-		-		966	100%
SARMATIA	1,536	24.75%	1,518	24.75%	1,450	24.75%
	10,362		10,344		11,248	

შპს ,, საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანია"

შპს ,,საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანია" (შემდგომში "კომპანია") დაფუძნებულია სს ,,საქართველოს გაზის საერთაშორისო კორპორაციის" მიერ, 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით. ,,საქართველოს გაზის საერთაშორისო კორპორაციის"

85

”საქართველოს ნავთობის და გაზის კორპორაციასთან” შერწყმის შედეგად ”გაზის ტრანსპორტირების კომპანია” გახდა კორპორაციის შვილობილი საწარმო.

კომპანიის შემოსავლის ძირითადი წყაროა გაზის ტრანსპორტირებიდან მიღებული შემოსავლები. რუსეთ-საქართველოს საზღვრიდან საქართველო-სომხეთის საზღვრამდე ბუნებრივი აირის ტრანსპორტირებაზე მომსახურების ტარიფი შპს ”გაზექსპორტთან” 2003 წლის 30 მაისს გაფორმებული №2107-12/03-05 ხელშეკრულების მიხედვით შეადგენს 10%-ს ფაქტიურად გატარებული გაზის მოცულობიდან, რომელსაც იგი ყიდის კორპორაციაზე სემეკისა და მთავრობის განკარგულებებით დადგენილი ტარიფით (1000 კუბ. მეტრი - 110 აშშ დოლარი). კომპანია შემოსავლებს იღებს აგრეთვე გაზსადენის მაგისტრალის სამშენებლო და სარეაბილიტაციო სამუშაოებიდან, გაზის გამანაწილებელი სადგურების მომსახურეობიდან და სხვა.

შპს "საქართველოს გაზსაცავების კომპანიის" 50%-იანი წილი, 2008 წლის 18 აპრილს, უსასყიდლოდ გადაეცა ეკონომიკის სამინისტროს, ასევე შპს "დაფგაზის" 8%-იანი წილი, 2008 წლის 24 იანვარს, კომპანიამ გადასცა უსასყიდლოდ ეკონომიკის სამინისტროს. შპს "იორის ველი ნავთობი და გაზის" 50%-იანი წილი, 2007 წლის 5 მაისს გამოსყიდულია “National Petroleum Limited”-ისგან.

2007, 2008, 2009 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, რიგი კომპანიები, როგორც ზემოთ არის მითითებული, იმყოფებოდნენ „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის“ ოპერატიული კონტროლის ქვეშ.

3. გაცემული სესხები

გაცემული სესხები 2007, 2008, 2009 წლების 31 დეკემბრისათვის შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	2009	2008	2007
სნსკ სამშენებლო კომპანია	1,182	864	534
	1,182	**864**	**534**

4. მარაგები

მარაგები 2007, 2008, 2009 წლების 31 დეკემბრისათვის შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	2009	2008	2007
ნავთობი	2,693	7,304	1,494
საწვავი	86	64	52
მილები	25,523	28,434	28,538
საკანცელარიო საქონელი	42	45	24
სხვა მასალები	3,753	3,751	2,594
	32,097	**39,598**	**32,702**

5. გადახდილი ავანსები მიმდინარე აქტივებში და ხარჯებში

გადახდილი ავანსები 2007, 2008, 2009 წლების 31 დეკემბრისათვის შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	2009	2008	2007
სხვა წინასწარ გაწეული ხარჯი	36	1,658	49
PIU ინსტიტუციონალური განვითარება	1,251	1,251	1,251
წინასწარ გადახდილი დივიდენდები	65	65	65
წინასწარ გადახდილი სადაზღვევო პრემია	19	20	7
	1,371	2,994	1,372

6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2007, 2008, 2009 წლების 31 დეკემბრისათვის შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	2009	2008	2007
სავაჭრო მოთხოვნები	112,621	119,701	41,381
საეჭვო ვალები	(36,194)	(21,628)	(6,776)
წმინდა სავაჭრო მოთხოვნები	**76,427**	**98,073**	**34,605**
პერსონალის მიმართ მოთხოვნები	3	-	11
საპროცენტო მოთხოვნები საბანკო დეპოზიტებზე	14	53	46
სხვა მოთხოვნები	7,827	6,970	12,089
	84,271	105,096	46,751

”ენერჯი ინვესტი”

კორპორაციასა და ”ენერჯი ინვესტს” შორის ბუნებრივი გაზის ურთიერთგაცვლის შესახებ 2007 წლის 12 ივლისს გაფორმებული ხელშეკრულების (№სხ-56/03-07) თანახმად, კორპორაციას ”ენერჯი ინვესტი”-სთვის სემეკის მიერ დადგენილი ტარიფით (166,55 ლარი) ზაფხულში უნდა მიეწოდებინა გაზი ქიმიური საწარმო ”აზოტი” - სთვის (მიწოდებულია ივლისში, აგვისტოსა და სექტემბერში 37,9 მლნ. კუბ. მეტრი ღირებულებით 6,304 მლნ. ლარი), ხოლო ”ენერჯი ინვესტი” იღებდა ვალდებულებას ზამთარში (ოქტომბერი-დეკემბერი) მოეწოდებინა ზაფხულში მიღებული გაზის მოცულობის 80% სემეკის მიერ მისთვის განაცხადის საფუძველზე დადგენილი ტარიფით. კორპორაციის ტექნიკური დირექტორის განმარტებით, 2007 წლის 1 სექტემბრიდან ბუნებრივი გაზის მიწოდების საქმიანობის დერეგულირებულად და ნაწილობრივ დერეგულირებულად გამოცხადების გამო სემეკმა არ დაუდგინა ”ენერჯი ინვესტს” გაზის მიწოდების ტარიფი და მხარეთა შეთანხმებით მოწოდებული გაზის ფასმა შეადგინა 208,19 ლარი (130 აშშ დოლარი). ”ენერჯი ინვესტის” მიერ გაზის მოწოდება განხორციელდა დეკემბერის თვეში, კორპორაციის მიერ ზაფხულში მიწოდებული გაზის მოცულობის 80%-ის (30,3 მლნ. კუბ. მეტრი) ოდენობით, იგივე ღირებულებით - 6,304 მლნ. ლარი. კორპორაციის ტექნიკური დირექტორის განმარტებით, ქვეყანაში არ არსებობდა ტექნიკური საშუალება (გაზსაცავის სახით), რომელიც ზაფხულის პერიოდში მიღებული გაზის გარკვეული ნაწილის დაგროვებისა და მისი ზამთარში მოხმარების საშუალებას მისცემდა. ამ პრობლემის მოგვარების მიზნით გააფორმა კორპორაციამ ”ენერჯი ინვესტი”-სთან აღნიშნული ხელშეკრულება.

2008 წლის 7 ოქტომბერს ”ენერჯი ინვესტს” მოსაწოდებელი გაზის ღირებულების სახით,

ხელშეკრულების საფუძველზე ავანსად გადაერიცხა 3555,7 ათ ლარი, გაზი მოწოდებული იქნა დეკემბერში 2122,7 ათ. ლარის ღირებულების. დავალიანება 1433,0 ათ. ლარის ოდენობით დაიფარა 2009 წლის 24 თებერვალს.

2007 წლის დეკემბერში მოსაწოდებელ გაზზე ხელშეკრულება (№ნა-125/08-07, 30.11.2007) წინასწარ გადახდას არ ითვალისწინებდა. ხელშეკრულების №5.2 პუნქტის თანახმად, მიწოდებული ბუნებრივი აირის ღირებულების ანაზღაურება უნდა მომხდარიყო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში. "ენერჯი ინვესტს" კი ავანსად ჩაერიცხა 8500,0 ათ. ლარი.

2008 წლის 8 თებერვალს "ენერჯი ინვესტს" გადაერიცხა მთავრობის განკარგულებით საქართველოს ენერგეტიკული სისტემისა და მომხმარებლების ბუნებრივი აირით სტაბილური უზრუნველყოფისა და მოქმედი ტარიფების შენარჩუნების მიზნით კორპორაციისათვის სესხად გამოყოფილი 27200,0 ათ. ლარი.

2008 წლის 1 აპრილისთვის "ენერჯი ინვესტზე" რიცხული დებიტორულმა დავალიანებამ შეადგინა 12611,0 ათ. ლარი, რომელიც მის მიერ დაფარული იქნა თანხების ეტაპობრივად დაბრუნების გზით, 2008 წლის მაის-ივნისში. თანხების დაბრუნების ასეთი ფორმა და ვადები კორპორაციისთვის უნდა ყოფილიყო მიუღებელი, რადგან იგი განიცდიდა ფინანსური სახსრების მწვავე ნაკლებობას, სარგებლობდა რა "საქართველოს ბანკის" სოლიდური ოვერდრაფტით. 2008 წლის მარტში კორპორაციამ ოვერდრაფტის 25 მლნ. - დან 45 მლნ. აშშ დოლარამდე გაზრდა მოითხოვა, მაგრამ საწარმოთა მართვის სააგენტომ თანხმობა არ მისცა არგუმენტირებული დასაბუთების წარუდგენლობის გამო.

7. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები 2007, 2008, 2009 წლების 31 დეკემბრისათვის შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	2009	2008	2007
ფული ბანკში	(635)	14,566	27,252
	(635)	**14,566**	**27,252**

- ნაღდი ფულით სალაროში ნაშთები წლების განმავლობაში არის უმნიშვნელო თანხები, რაც შეეხება 2009 წელში უარყოფით ნაშთს ბანკის ანგარიშზე, გამოწვეულია ოვერდრაფტის არსებობით, რაც არ არის ცალკე დარეკლასიფიცირებული როგორც ვალდებულება.

8. საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი 2007, 2008, 2009 წლების 31 დეკემბრისათვის შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	წილი	2009	2008	2007
საქართველოს სახელმწიფო	100%	194,268	166,141	142,684
	100%	**194,268**	**166,141**	**142,684**

ცვლილებები საწესდებო კაპიტალში

2007 წლის 1 იანვრის მდგომარეობით კორპორაციის საწესდებო კაპიტალი შეადგენდა 100583,4 ათ. ლარს. აუდიტს დაქვემდებარებულ პერიოდში საწესდებო კაპიტალში ცვლილება შეტანილი იქნა 20-ჯერ. ამ ცვლილებების შედეგად მას დაემატა 117001,8 ათასი, ხოლო გამოაკლდა 23324,4 ათ. ლარი. 2010 წლის 1 იანვრისათვის საწესდებო კაპიტალის ღირებულებამ შეადგინა 194260,8 ათ.ლარი. აღსანიშნავია, რომ ბუღალტრული აღრიცხვის მონაცემების თანახმად, საწესდებო კაპიტალის ოდენობა ამავე პერიოდისათვის უნდა შეადგენდეს 194267,9 ათ. ლარს. სხვაობა გამოწვეულია იმით, რომ სს "თელეთის ნავთობის კომპანიამ" (ამჟამად შპს "საქგეოსერვისი") დღემდე ვერ უზრუნველყო კორპორაციის კაპიტალში "საწარმოთა მართვის სააგენტოს" 2007 წლის 9 ივლისის №1-3/479 ბრძანებით შეტანილი ქონების გარკვეული ნაწილის კორპორაციისათვის გადაცემა (11 ერთეული სატრანსპორტო საშუალება, ორი ბულდოზერი, საბურღი მოწყობილობა, საშადრევნე არმატურები, სუფსის სარეწაო №2-ზე არსებული მასალები და ინვენტარი). როგორც წარმოდგენილი დოკუმენტებიდან ირკვევა, ზემოაღნიშნული გადმოუცემელი ქონებიდან 10 ერთეული ავტოსატრანსპორტო საშუალება (საწყისი საბალანსო ღირებულებით 54,2 ათ. ლარი) 2000 წელს უკანონოდ ჩამოუწერია შპს "იორის ველს", რომელსაც ისინი იჯარით ჰქონდა აღებული "საქნავთობიდან" (შემდგომში სს "თელეთის ნავთობის კომპანია"). მასალები კორპორაციის №1703-3-11/1, 17.03.09 წერილით გადაგზავნილია სამართალდამცავ ორგანოებში.

აუდიტს დაქვემდებარებულ პერიოდში საწესდებო კაპიტალში დამატებული იქნა: შპს "იორის ველი ნავთობი და გაზის" 50 %-იანი წილი - 8362,5 ათ. ლარი, შპს "საქგეოსერვისის" 100%-იანი წილი - 966,3 ათ. ლარი; შენობები, ნაგებობები, მიწის ნაკვეთები - 22336,0 ათ. ლარი; მილსადენები - 58809,0 ათ. ლარი; ჭაბურღილები - 8441,2 ათ. ლარი; გამზომი კვანძები, სააღრიცხვო მოწყობილობები, ლაბორატორიები - 7390,9 ათ. ლარი; ავტომანქანები, სპეცტექნიკა, მოწყობილობები, დანადგარები - 1486,7 ათ. ლარი; სხვადასხვა თემები, ანგარიშები, პროგრამები - 1315,1 ათ. ლარი და სხვა.

ამავე პერიოდში სახელმწიფოსთვის უსასყიდლოდ, მათი შემდგომი განკარგვის მიზნით გადასაცემად საწესდებო კაპიტალიდან ამოღებული იქნა: სს "თელეთის ნავთობის კომპანიის" აქციების 100% - 18837,3 ათ. ლარი, შპს "საქგეოსერვისში" 100% წილი - 966,3 ათ.ლარი, უმოქმედო მილსადენები - 1890,8 ათ.ლარი; მიწის ნაკვეთები - 63,9 ათ.ლარი, ტრანსფორმატორები და სატრანსფორმატორო ქვესადგური - 12,5 ათ. ლარი; ავტომანქანები "ნისან პადფაინდერი", "მერსედეს ბენცი", "გაზ-66" საერთო ღირებულებით 24,2 ათ.ლარი; გარდა ამისა, საწესდებო კაპიტალიდან ამოღებულია ავტომანქანა "ტოიოტა ლენდკრუიზერი" ღირებულებით 42,2 ათ.ლარი (სსიპ "საფინანსო სააგენტოს" მეშვეობით მიქცეულ იქნა სახელმწიფო საკუთრებაში), ოპერატორებისა და სპეციალისტების სახლები და მათზე დამაგრებული მიწის ნაკვეთები ღირებულებით 368.0 ათ. ლარი (აღნიშნული სახლები წლების მანძილზე დაკავებული ჰქონდათ მესამე პირებს. კორპორაციის სარჩელები არ იქნა დაკმაყოფილებული, ვინაიდან მოპასუხეები სასამართლოებმა მიიჩნიეს ბინების მართლზომიერ მფლობელებად); საწესდებო კაპიტალიდან ასევე ამოღებული იქნა: კაპიტალური და მიწისქვეშა რემონტის საამქრო და მასზე დამაგრებული მიწის ნაკვეთი - 800,9 ათ. ლარი, სპეცტექნიკა - 269,9 ათ. ლარი, "კავზის" მარკის 5 ერთეული ავტობუსი - 25,6 ათ. ლარი, შენობა-ნაგებობები - 8,4 ათ.ლარი (შპს "საქგეოსერვისზე" გადაცემის მიზნით), ქვესადგურები და ელექტრო გადამცემი ხაზები ღირებულებით 14,4 ათ. ლარი (სს "ენერგო პრო ჯორჯიაზე" გადასაცემად).

9. გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები

გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები 2007, 2008, 2009 წლების 31 დეკემბრისათვის შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	2009	2008	2007
შპს "აჭარის ელექტროკომპანია"	-	-	3,024
საქართველოს ბანკი	-	963	5,555
საქართველოს ფინანსთა სამინისტრო	131,571	146,465	130,073
დისკონტირების თანხა	(44,653)	(23,817)	(16,803)
	86,918	**123,611**	**121,849**

9.1 მთავრობის განკარგულებით გადმოკისრებული სესხები

ხელშეკრულება 60072,6 ათ. ლარის სესხის გადაკისრებაზე (№128.12-8296) ფინანსთა სამინისტროს, ენერგეტიკის სამინისტროსა და კორპორაციას შორის გაფორმებულია 2007 წლის 25 დეკემბერს, მაშინ როდესაც გადაკისრებული სესხის აღნიშნული მოცულობა განისაზღვრა მთავრობის 2008 წლის 8 თებერვლის განკარგულებით. 2010 წლის 1 იანვრის მდგომარეობით გადასახდელად დარჩენილი იყო 58570,8 ათ. ლარი. აუდიტს დაქვემდებარებულ პერიოდში, ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადებში სასესხო ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის კორპორაციას პირგასამტეხლოს სახით გადახდილი აქვს 9,5 ათ. ლარი.

10. მოკლევადიანი სესხები

მოკლევადიანი სესხები 2007, 2008, 2009 წლების 31 დეკემბრისათვის შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	2009	2008	2007
საქართველოს ბანკი	-	26,673	15,631
საქართველოს ფინანსთა სამინისტრო	20,034	17,578	3,010
	20,034	**44,251**	**18,641**

მოკლევადიანი სესხები მოიცავს როგორც გრძელვადიანი სესხის მიმდინარე წილებს, ასევე გადასახდელ პროცენტებს.

11. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2007, 2008, 2009 წლების 31 დეკემბრისათვის შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	2009	2008	2007
სავაჭრო ვალდებულებები	(18,445)	38,961	22,682
თანამშრომლების მიმართ ვალდებულებები	27	27	28
სხვა ვალდებულებები	17	20	18
	(18,401)	**39,008**	**22,728**

2009 წლის სავაჭრო ვალდებულებებში უარყოფითი ნაშთი გამოწვეულია „Azerbaijan Gas Supply Company Limited (AGSC)“-ზე წინასწარ გადახდილი თანხის გამო, რომელიც არ დაკლასიფიცირდა როგორც ავანსი.

90

11.1 Hansa Luftbild

2010 წლის 1 იანვრის მდგომარეობით 135,4 ათ. ლარის კრედიტორული დავალიანებაა აღრიცხული Hansa Luftbild-ზე. მის წარმოშობასთან დაკავშირებით გაირკვა შემდეგი: 2006 წლის 14 მარტს "საქართველოს გაზის საერთაშორისო კორპორაციასა" და კომპანია Hansa Luftbild შორის გაფორმდა კონტრაქტი (№ სხ-17-06) ჩრდილოეთი-სამხრეთის მაგისტრალური მილსადენის გეოინფორმაციული სისტემის და საკადასტრო რუკების მომზადების შესახებ. კონტრაქტის დაფინანსება ხდებოდა მსოფლიო ბანკის მიერ სახელმწიფოსათვის გამოყოფილი სესხის თანხებით, ენერგომატარებლების ტრანზიტის ინსტიტუციონალური აღმშენებლობის პროექტის ფარგლებში. კონტრაქტის ღირებულება განისაზღვრა 384,8 ათასი ევროს ოდენობით (დღგ-ს ჩათვლით).

2006 წლის ბოლოსათვის კონტრაქტორისთვის გადახდილი იყო 260,4 ათ. ევრო (დღგ-ს გარეშე), რაც საკონტრაქტო ღირებულების 80 პროცენტია, თუმცა მიღებული იყო სამუშაოების მხოლოდ მცირე ნაწილი. ამის შემდეგ "საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციამ" გადაწყვიტა შეეჩერებინა წარმოდგენილი ინვოისებით თანხების ანაზღაურება რის შედეგადაც გადაუხდელი თანხები ბუღალტრულად აღირიცხა, როგორც კრედიტორული დავალიანება.

2007 წლის 19 ნოემბერს ხელი მოეწერა კონტრაქტის №2 დამატებას, რომლითაც მხარეები შეთანხმდნენ, რომ კონტრაქტის ღირებულების გადაუხდელი ნაწილი (65,7 ათ. ევრო) გადახდილი იქნებოდა შესაბამისი სამუშაოების მიწოდების სანაცვლოდ. კონტრაქტის მოქმედების ვადა გაგრძელდა 2007 წლის 25 დეკემბრამდე. მიუხედავად ამისა, Hansa-მ დამატებით ნაკისრი ვალდებულებებიდან მხოლოდ 5,1 ათ. ევროს ღირებულების სამუშაო შეასრულა. საკითხის შესწავლის მიზნით მოწვეულმა იურიდიულმა კონსულტანტმა "DLA Piper" (ნ.ღვინაძე და პარტნიორი) წარმოადგინა მემორანდუმი კონტრაქტით გათვალისწინებული შეუსრულებელი და არასწორად შესრულებული სამუშაოების შესახებ და განსაზღვრა მოქმედების რამდენიმე ვარიანტი, რომელიც შეეძლო გამოეყენებინა კორპორაციას Hansa-სთან მიმართებაში. ამ მომსახურებისათვის მისთვის გადახდილი იქნა 19,7 ათ. ლარი. კონსულტანტის განმარტებით, Hansa-ს ქვეკონტრაქტორის (შპს "გეოინჟინირინგი") მიერ ღერძის დადგენისას გამოყენებული იქნა არასწორი მეთოდიკა, რამაც შემდგომში ვეღარ უზრუნველყო სამუშაოების ხარისხიანი შესრულება. Hansa-მ ასევე ვერ უზრუნველყო კონტრაქტის ერთ-ერთ მნიშვნელოვანი პუნქტის შესრულება, რომელიც ეხებოდა უძრავი ქონების და მიწის საკადასტრო მონაცემების მოპოვებას და საინფორმაციო ბაზის შექმნას.

შეუსრულებელი სამუშაოების დასრულებისთვის საჭირო ხარჯების დადგენის მიზნით ხელშეკრულება გაფორმდა შპს "გეოგრაფიკთან" (მომსახურეობის ღირებულება 4,5 ათასი ლარი). მისი დასკვნით, Hansa-ს შესასრულებლად დარჩენილი სამუშაოები უფრო მეტი ღირებულების აღმოჩნდა ვიდრე კორპორაციას ჰქონდა გადასახდელი კონტრაქტის ღირებულებიდან გამომდინარე. კერძოდ, "გეოგრაფიკის" შეფასებით შესასრულებელ სამუშაოებსა და გადასახდელ თანხას შორის სხვაობამ შეადგინა (ანუ ზედმეტად გადახდილი აღმოჩნდა) დაახლოებით 40 ათ. ევრო.

ამრიგად, მსოფლიო ბანკის კრედიტით დაფინანსებული ერთ-ერთი პრიორიტეტული პროექტი არ შესრულდა, მიუხედავად იმისა, რომ დახარჯული იქნა პროექტის განსახორციელებლად გამოყოფილი თანხების 80%. გარდა ამისა, შეუსრულებელი სამუშაოების განსაზღვრისა და მათი დასრულებისათვის საჭირო თანხების დადგენის მიზნით, კორპორაციის მიერ დამატებით გაწეული იქნა 24,2 ათ. ლარის ხარჯი.

საქართველოს წყალმომარაგებისა და ენერგეტიკის საკითხთა კომისიამ 2010 წლის 21 ოქტომბრის სხდომაზე (ოქმი №7), საარბიტრაჟო პროცედურებისა და მასთან დაკავშირებული ხარჯების გათვალიწინებით, მიზანშეუწონლად ჩათვალა საერთაშორისო დავის დაწყება აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

12. საგადასახადო ვალდებულებები

საგადასახადო ვალდებულებები 2007, 2008, 2009 წლების 31 დეკემბრისათვის შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	2009	2008	2007
საშემოსავლო გადასახადი	487	453	308
დამატებული ღირებულების გადასახადი	(1,688)	2,734	(11,182)
სოციალური გადასახადი	(30)	(33)	953
ქონების გადასახადი	372	1,210	373
მიწის გადასახადი	19	19	39
სხვა გადასახადი	97	122	128
	(743)	4,505	(9,381)

საბოლოოდ უარყოფით ნაშთს საგადასახადო ვალდებულებებზე, იწვევს დამატებულ ღირებულების და სოციალურ გადასახადში არსებული სადებეტო სალდო, რომელიც ბუღალტერიას არ დაურეკლასიფიცირებია როგორც საგადასახადო აქტივი.

13. შემოსავალი რეალიზაციიდან

2007, 2008, 2009 წლების განმავლობაში მიღებული შემოსავლების საერთო თანხის წარმოდგენა შესაძლებელია შემდეგნაირად:

	2009	2008	2007
გაზის რეალიზაცია	111,928	309,612	215,776
ნავთობის რეალიზაცია	20,294	13,966	19,487
იჯარიდან შემოსავალი	23,474	19,584	6,942
სხვა საოპერაციო შემოსავალი	3,599	1,765	271
	159,295	344,927	242,476

- „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციას“ საქართველოს სახელმწიფოსგან აქვს უფლებამოსილება განახორციელოს ნავთობის ეროვნული კომპანიის („ნეკ“-ის) საქმიანობა, რაც თავის მხრივ გულისხმობს, სახელმწიფოსა და ინვესტორს შორის დადებული „პროდუქციის წილობრივი განაწილების ხელშეკრულების“ (პწგხ) პირობების დაცვას და შესრულებას.

- 13.1 შემოსავლების წყაროები და მათი აღრიცხვის მდგომარეობა

კორპორაციის შემოსავლების ძირითადი წყაროა ბუნებრივი გაზის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლები. მათი მიღება ხორციელდებოდა გაზგამანაწილებელ კომპანიებთან, საბითუმო მიმწოდებლებთან და მომხმარებლებთან დადებული ხელშეკრულებების საფუძველზე. აუდიტს დაქვემდებარებულ პერიოდში აღნიშნული წყაროდან მიღებულმა შემოსავლებმა შემოსავლების საერთო ოდენობის 75,7% შეადგინა. გარდა ამისა, კორპორაცია შემოსავლებს იღებდა ასევე ნავთობის ტრანზიტიდან (ბაქო-სუფსა), პროდუქციის წილობრივი განაწილების ხელშეკრულებების (პწგხ) ფარგლებში, ნავთობის რეალიზაციიდან, პროექტებიდან, ნავთობის მომზადებიდან, აქტივების იჯარით გაცემიდან და სხვა შემოსავლებიდან, რომლებიც

ძირითადად წარმოდგენილია კორპორაციის ანგარიშსწორების ანგარიშებზე თავისუფალ ნაშთზე დარიცხული სარგებლისა და ბუნებრივი გაზის მომხმარებლების დავალიანებებზე დარიცხული საურავების სახით.

ფასებზე მთავრობის განკარგულებები

საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2007 წლის 25 სექტემბრის №69 ბრძანებით, 2007 წლის 1 სექტემბრიდან ბუნებრივი გაზის მიწოდების საქმიანობა გამოცხადდა დერეგულირებულად და ნაწილობრივ დერეგულირებულად. მთავრობის 2007 წლის 24 ნოემბრის N 737 განკარგულებით, კორპორაციას დაევალა ბუნებრივი აირის რეალიზაცია შპს "მტკვარი-ენერგეტიკისათვის", სს "ენერჯი-ინვესტისა" და სს "თბილსრესისათვის" უზრუნველეყო სულ ცოტა 143 აშშ დოლარის ექვივალენტ ლარად, ხოლო ყველა სხვა საბითუმო მიმწოდებლისა და მომხმარებლისათვის - სულ ცოტა 167 აშშ დოლარის ექვივალენტ ლარად (აქ და შემდგომშიც, ბუნებრივი აირის ფასში იგულისხმება 1000 კუბ.მეტრი ბუნებრივი აირის ფასი დღგ-ს გარეშე). პწგხ-ს საფუძველზე მოპოვებულ სახელმწიფოს კუთვნილი წილის მომყოლ (თანმდევ) გაზის, რეალიზაცია კი სულ ცოტა 25 აშშ დოლარის ექვივალენტ ლარად (აქაც და შემდგომშიც იგულისხმება 1000 კუბ. მეტრი მომყოლი (თანმდევი) გაზის ფასი დღგ-ს გარეშე).

მთავრობის 2008 წლის 1 თებერვლის № 01-ს განკარგულებით კორპორაციას დაევალა, ბუნებრივი აირის შესასყიდი ფასების მიუხედავად, 2008 წლის 1 იანვრიდან უზრუნველეყო ბუნებრივი აირის რეალიზაცია: "მტკვარი-ენერგეტიკის", "ენერჯი-ინვესტისა" და "თბილსრესისათვის" - 143 აშშ დოლარის ექვივალენტ ლარად, ხოლო ყველა სხვა საბითუმო მიმწოდებლისა და მომხმარებლისათვის - 167 აშშ დოლარის ექვივალენტ ლარად. პწგხ-ს საფუძველზე მოპოვებული გაზის რეალიზაციის მოთხოვნა დარჩა უცვლელი (25 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარი).

2008 წელს, მთავრობის აღნიშნული განკარგულებით დადგენილ 167 აშშ დოლარზე მეტ ფასად რეალიზებულია 93,9 მლნ. კუბ. მეტრი ბუნებრივი აირი, რის შედეგადაც, ფასის გადამეტებით მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 4528,8 ათ. ლარი.

2008 წლის 24 ნოემბერს კორპორაციამ წერილით მიმართა ენერგეტიკის სამინისტროს, რომელშიც აღნიშნა, რომ მთავრობის 2008 წლის 1 თებერვლის განკარგულება შეიცავდა გარკვეულ ხარვეზებს: ბუნებრივი გაზის მიწოდების ფასი განისაზღვრა ისე, რომ გაზის გამანაწილებლებისათვის, რომლებიც ახორციელებენ მოსახლეობის გაზით მომარაგებას და სხვა მიმწოდებლებისა და მომხმარებლებისათვის დადგენილი იქნა გაზის მიწოდების ერთიანი ფასები, რაც არ შეესაბამება განკარგულების მიზნებს.

2008 წლის 3 დეკემბერს, მთავრობის 2008 წლის 1 თებერვლის N01-ს განკარგულებაში, მთავრობის N11-ს განკარგულებით შევიდა ცვლილება და კორპორაციას დაევალა, ბუნებრივი აირის შესასყიდი ფასების მიუხედავად, 2008 წლის 1 იანვრიდან ბუნებრივი აირის რეალიზაცია "მტკვარი-ენერგეტიკის", "ენერჯი-ინვესტისა" და "თბილსრესისათვის" უზრუნველყო 143 აშშ დოლარის ექვივალენტ ლარად, გამანაწილებელი კომპანიებისათვის მიწოდება მოსახლეობის მოხმარებისათვის - 167 აშშ დოლარის ექვივალენტ ლარად, ხოლო ყველა სხვა საბითუმო მიმწოდებლისა და მომხმარებლისათვის - საბაზრო პირობებით. პწგხ-ს საფუძველზე მოპოვებულ სახელმწიფოს კუთვნილი წილის მომყოლ (თანმდევ) გაზის რეალიზაციის მოთხოვნა კვლავ დარჩა უცვლელი (სულ ცოტა 25 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარი). 2008 წლის დეკემბერში მიღებული ცვლილების 2008 წლის 1 იანვრიდან ძალაში შესვლამ, ფასების დარღვევით ბუნებრივი აირის ზემოხსენებული რეალიზაცია განკარგულებით მოთხოვნილის შესაბამისი

გახადა. სამაგიეროდ, სხვა საბითუმო მიმწოდებლისა და მომხმარებლისათვის არასაბაზრო ფასად - 167 აშშ დოლარად 2008 წლის დეკემბრამდე მიწოდებული 336,7 მლნ. კუბ. მეტრი გაზი გახადა მთავრობის განკარგულების დარღვევით რეალიზებული.

მთავრობის 2009 წლის 29 აპრილის N02-ს განკარგულებით კორპორაციას დაევალა, შესასყიდი ფასების მიუხედავად, ბუნებრივი აირის რეალიზაცია "მტკვარი-ენერგეტიკის", "ენერჯი-ინვესტისა" და "თბილსრესისათვის" უზრუნველეყო 143 აშშ დოლარის ექვივალენტ ლარად, ხოლო განაწილების ლიცენზიანტებისათვის და საბითუმო მიმწოდებლისათვის - 167 აშშ დოლარის ექვივალენტ ლარად. რადგან ამ განკარგულებითაც სარეალიზაციო ფასებთან დაკავშირებული ცვლილების უზრუნველყოფა 2008 წლის 1 იანვრიდან იყო მოთხოვნილი, 2008 წელს 93,9 მლნ. კუბ. მეტრი ბუნებრივი აირის 167 აშშ დოლარზე მეტი ფასით რეალიზება ისევ დადგენილ ტარიფს გარეთ მოექცა რითაც დაირღვა მთავრობის განკარგულება, ხოლო 2008 წელს არასაბაზრო ფასად გაყიდული ზემოხსენებული 336,7 მლნ. კუბ. მეტრი გაზი გახდა მთავრობის განკარგულების შესაბამისად რეალიზებული.

2009 წელს, მთავრობის 2009 წლის 29 აპრილის N02-ს განკარგულებით დადგენილი ფასის (167 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარი) დაუცველად რეალიზებულია 55,9 მლნ. კუბ. მეტრი გაზი, რის შედეგადაც დამატებით მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 9899,9 ათ. ლარი.

პწგხ-ს საფუძველზე მოპოვებულ სახელმწიფოს კუთვნილი წილის მომყოლ (თანმდევ) გაზს, მისი სულ ცოტა 25 აშშ დოლარის ექვივალენტ ლარად რეალიზაციის მოთხოვნა აღნიშნული განკარგულებით შეიცვალა 25 აშშ დოლარის ექვივალენტ ლარად რეალიზაციის მოთხოვნით. აქედან გამომდინარე, რადგან განკარგულებით, სარეალიზაციო ფასებთან დაკავშირებული ცვლილების უზრუნველყოფა 2008 წლის 1 იანვრიდან იყო მოთხოვნილი, 2008-2009 წლებში 25 აშშ დოლარის ექვივალენტ ლარზე მეტ ფასად რეალიზებული 7,4 მლნ. კუბ. მეტრი თანმდევი გაზი აღმოჩნდა დადგენილი ფასისა და მთავრობის განკარგულების დარღვევით რეალიზებული, რის შედეგადაც დამატებით მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 1553,7 ათ. ლარი, აქედან 2008 წელს - 492,1 ათ. ლარი, 2009 წელს - 1061,6 ათ. ლარი.

14. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

2007, 2008, 2009 წლების განმავლობაში რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულების საერთო თანხის წარმოდგენა შესაძლებელია შემდეგნაირად:

	2009	2008	2007
რეალიზებული გაზის თვითღირებულება	93,684	320,479	189,273
რეალიზებული ნავთობის თვითღირებულება	16,823	8,959	12,672
მასალები	409	161	10
გადასახადები	1,136	1,112	2,006
მიწოდების ხარჯი	262	157	200
სხვა ხარჯი	38	14	21
	112,352	330,882	204,182

2008 წელს, რეალიზებული გაზის თვითღირებულებამ გაადაჭარბა მთლიანად გაზის რეალიზაციიდან მიღებულ შემოსავალს, რაც გამოწვეული იყო ქვეყანაში ბუნებრივი აირისა და ელექტროენერგიის ფასების სტაბილზაციის მიზნით, საქართველოს მთავრობის განკარგულებებით, მიუხედავად შესასყიდი ფასებისა, ბუნებრივი აირის რეალიზაცია უნდა მომხდარიყო მთავრობის დადგენილი ფიქსირებული ფასებით, რაც ვერ ფარავდა შემენილი გაზის თვითღირებულების ხარჯებს.

94

15. ცვეთა და ამორტიზაცია

ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯების მკვეთრი ზრდა გამოწვეულია აუდიტორული კომპანია ”დელოიტი და ტუშის” მიერ განხორციელებული ძირითადი საშუალებების გადაფასებით.

16. გაწეული ხარჯების შესაბამისობა მოქმედ სტანდარტებთან და ნორმატივებთან.

16.1 სახელფასო ფონდი

კორპორაციის სტრუქტურას, საშტატო რიცხოვნებას და სახელფასო ფონდს ამტკიცებს დირექტორთა საბჭო. აუდიტს დაქვემდებარებულ პერიოდში შტატით მომუშავეთა რიცხოვნობა ძირითადად იყო უცვლელი და საშუალოდ შეადგენდა 180 ერთეულს, ხელშეკრულებით მომუშავეთა რიცხოვნობა კი სისტემატურად იზრდებოდა და შეადგინა: 2007 წელს - 211, 2008 წელს - 258 და 2009 წელს - 325 ერთეული. 2008 წელს 2007 წელთან შედარებით შტატიანი თანამშრომლების ხელფასები გაიზარდა 25,0%-ით. ასევე გაიზარდა პრემიების სახით გაცემული თანხების ოდენობაც - 14,6%-ით (მათ შორის ხელმძღვანელ მუშაკებზე - 74,8%-ით). აუდიტს დაქვემდებარებულ პერიოდში პრემიის სახით სულ დარიცხულია 1726,2 ათ. ლარი, მათ შორის შტატიან თანამშრომლებზე - 1248,1 ათ. ლარი (აქედან ხელმძღვანელ მუშაკებზე - 595,6 ათ. ლარი), ხოლო ხელშეკრულებით მომუშავეებზე - 478,1 ათ. ლარი. დახმარების სახით სულ გაცემულია 26,7 ათ. ლარი, აქედან ხელშეკრულებით მომუშავეებზე - 6,6 ათ. ლარი. 2009 წელს ხელშეკრულებით მომუშავეთა საშუალო ხელფასმა თვეში შეადგინა 807 ლარი, ხოლო შტატიან თანამშრომელთა საშუალო ხელფასმა - 1914 ლარი (აქედან ხელმძღვანელ მუშაკთა საშუალო ხელფასმა - 4801 ლარი).

16.2 მივლინებები

აუდიტს დაქვემდებარებულ პერიოდში სამივლინებო ხარჯების ნორმებს განსაზღვრავდა ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 5 აპრილის №220 ბრძანებით დამტკიცებული ”დაქირავებულისათვის სამივლინებო ხარჯების ნორმების შესახებ” ინსტრუქციით დადგენილი წესი. აღნიშნულ ნორმებს ზევით მივლინების ხარჯების ანაზღაურება, დირექტორთა საბჭოს 2007 წლის 21 თებერვლის გადაწყვეტილებით, სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორთა საბჭოს წევრებზე ხორციელდებოდა ავტომატურად, ხარჯების გაწევის დამადასტურებელი საბუთების წარმოდგენის საფუძველზე, ხოლო სხვა დანარჩენ პერსონალზე ზენორმატიული ხარჯების ანაზღაურების საკითხი წყდებოდა დირექტორთა საბჭოს სხდომებზე (როგორც წესი დადებითად). აუდიტს დაქვემდებარებულ პერიოდში განხორციელებულ მივლინებებზე ნორმის ზევით სულ ზედმეტად ანაზღაურებულია 78,5 ათ. ლარის ხარჯი

16.3 სახელმწიფო შესყიდვების შესახებ მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების შესრულების მდგომარეობა

აუდიტის ობიექტის მიერ განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვები არ არის შესაბამისობაში აუდიტს დაქვემდებარებულ პერიოდში მოქმედ კანონმდებლობასთან. ეს ეხება შესყიდვების წლიური გეგმის სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში დაგვიანებით წარდგენას, შესყიდვების წლიურ გეგმაში შესყიდვების პროცედურების სავარაუდო ვადების მიუთითებლობას, სატენდერო განაცხადში დოკუმენტაციის გატანის ვადას, სატენდერო კომისიის წევრების შერჩევას, შესყიდვების გეგმასა და გაფორმებულ ხელშეკრულებებში დაფიქსირებული ღირებულებითი მაჩვენებლების შეუსაბამობას, შესყიდვებთან დაკავშირებული

შეტყობინებებისა და ანგარიშების სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში წარუდგენლობას და სხვა.

მილების შესყიდვა (საგურამო - წითელი ხიდი)

2007 წლის 27 აპრილს კორპორაციამ ერთ პირთან მოლაპარაკების საშუალებით „STEMCOR“-თან გააფორმა №ნა-33/02-07 ხელშეკრულება API 5L საერთაშორისო სტანდარტის მილების (37,2 ათ. მეტრი) შესყიდვაზე, ღირებულებით 14062 ათ. აშშ დოლარი. ხელშეკრულების თანახმად საქონლის მიწოდების ვადა იყო მილებზე შვიდი თვე, მილის მუხლებზე ცხრა თვე, შესაბამისად 2007 წლის ნოემბერი და 2008 წლის იანვარი.

2007 წლის 7 მაისს, ასევე ერთ პირთან მოლაპარაკების საშუალებით, კორპორაციამ გააფორმა Nნა-35-07 ხელშეკრულება „ETK უკრაინასთან“ „გოსტის“ სტანდარტის მილებისა (31 ათ. მეტრი) და დამხმარე საშუალებების შესყიდვაზე, თანხით 19 633 ათ. აშშ დოლარი. ხელშეკრულების თანახმად, მილების, მუხლების და სამკაპების ჩამოტანა საქართველოში ორ ეტაპად იყო დაყოფილი. პირველი ეტაპი 2007 წლის 30 ივნისს, ხოლო მეორე ეტაპი 2007 წლის 31 ივლისს უნდა დასრულებულიყო.

„STEMCOR“-ის და „ETK უკრაინასთან“ გაფორმებული ხელშეკრულებების ფარგლებში მისაწოდებელი საქონლის ერთეულის ფასები ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავდებოდა, იმ შემთხვევაში თუ „ETK უკრაინასთან“ გაფორმებული ხელშეკრულებების ფარგლებში საქონლის მიწოდებას განახორციელებდა „STEMCOR“, ხელშეკრულების ფასი (მხოლოდ იმ ნაწილში სადაც ამ უკანასკნელი ორი ხელშეკრულების ფარგლებში საქონლის დასახელებები ერთმანეთს ემთხვევა) 5 407 ათ. აშშ დოლარით შემცირდებოდა. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ კორპორაციისათვის ცნობილი იყო მილების უშუალო მწარმოებლებიც, რადგან ETK-ს სატენდერო წინადადებასთან ერთად წარმოდგენილი იყო „ხარცინსკის მილების ქარხნის“, სავაჭრო სახლი „ლისკიმონტაჟკონსტრუქციის“, შპს „ომკ-სტალის“ და სს „ტიაჟპრომარმატურის“ წერილები, რომლითაც ისინი უფლებას ანიჭებდნენ ETK-ს აღნიშნული საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებით ტენდერში მონაწილეობის მიღებაზე. უშუალო მწარმოებლებთან ურთიერთობის პრაქტიკა კორპორაციას უკვე გააჩნდა სს „ტიაჟპრომარმატურა“-სთან ონკანების შესყიდვაზე ხელშეკრულების გაფორმებით, რის შედეგადაც მან 1166 ათ. აშშ დოლარი დაზოგა, ამასთან ონკანების ჩამოტანის პერიოდიც შემცირდა 90-150 დღიდან 60-90 დღემდე.

კორპორაციის ფინანსური დირექტორის განმარტებით, საგურამო-წითელი ხიდის 83 კილომეტრიანი მაგისტრალური გაზსადენის აშენებისთვის საჭირო მასალების შესყიდვაზე ხელშეკრულებების ორ სხვადასხვა მომწოდებელთან გაფორმების მიზეზი გახდა მშენებლობის შემჭიდროვებული ვადები. დროის სიმცირის გამო პირველ ეტაპზე დაიგეგმა გარდაბანი-ნავთლუღის 31 კილომეტრიანი მონაკვეთის აშენება, რომელიც ქვეყნის ენერგო უსაფრთხოების შენარჩუნების მიზნით, უნდა დაწყებულიყო არაუგვიანეს 2007 წლის ივლისისა, იმ ვარაუდით, რომ 2007-2008 წლების ზამთრის სეზონისათვის შესაძლებელი ყოფილიყო მილსადენის ექსპლუატაციის დაწყება. აღნიშნული მონაკვეთის დაჩქარებულ მშენებლობას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქვეყნის შეუფერხებელი, უწყვეტი გაზმომარაგებისა და ბუნებრივი გაზის მოწოდების წყაროების დივერსიფიკაციის უზრუნველსაყოფად, რადგან „გაზპრომი“-დან გაზის მოწოდება შეწყვეტილი იყო, ხოლო ქვეყნის ინფრასტრუქტურა მზად არ იყო სამი დამოუკიდებელი წყაროდან (დამატებითი გაზი, ოფიციური გაზი, აზერბაიჯანული გაზი) გაზის მისაღებად. ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ „სტემკორის“ წინადადება ფინანსურად უფრო

ხელსაყრელი იყო, მისი მიწოდების გრაფიკი (2007 წლის ნოემბერი - 2008 წლის იანვარი) არანაირად არ შეესაბამებოდა მშენებლობის დასრულების ვადებს. ამასთან, მილსადენის აღნიშნული მონაკვეთის დაჩქარებული მშენებლობით შესაძლებელი ხდებოდა გაზის სხვადასხვა წყაროებიდან მიღება რუსულ გაზზე იაფად, რისგანაც მიღებული სარგებელი გადაწონიდა „ეტკ“-სა „სტემკორის“ მილებს შორის ფასთა სხვაობას. რაც შეეხება მილების მწარმოებლებთან უშუალო ურთიერთობას, ფინანსური დირექტორის განმარტებით, მათი არაერთგზის მცდელობის მიუხედავად ეს ვერ განხორციელდა, რადგან მილების წარმოების ინდუსტრიაში დამკვიდრებულია პრაქტიკა, რომ ქარხნები დილერების გარეშე საქონელს არ ყიდიან.

რეაბილიტაცია (გარდაბანი - ნავთლუღი)

„გარდაბანი-ნავთლუღის“ 31 კილომეტრიანი მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოების შემსრულებლის მოძიების მიზნით შეიქმნა საკოორდინაციო ჯგუფი, რომლის ფუნქციაც იყო მაგისტრალური გაზსადენების მშენებლობის გამოცდილების მქონე სამშენებლო კომპანიის გამოვლენა. საკოორდინაციო ჯგუფის მიერ შერჩეული იქნა „საქმილსადენმშენის“ და „აზფენის“ კონსორციუმი და ტრესტ "ნეფტგაზტიკინტი", რომელთა მიერ წარმოდგენილი წინადადებების ღირებულება შეადგენდა შესაბამისად 15000,0 ათ. და 18000,0 ათ. ლარს. თუმცა სხვა კომპანიებს, კერძოდ: შპს „ნავთობგაზმშენკომპლექსს“ (4728,5 ათ. ლარი), შპს „ტრაიკვესტ ინტერნეიშენელ გრუპს“ (12385,6 ათ. ლარი) გაცილებით ნაკლები ფასები ჰქონდათ წარმოდგენილი (საკოორდინაციო ჯგუფის ხელმძღვანელის განმარტებით აღნიშნულ კომპანიებს არ გააჩნდათ შესაბამისი მატერიალურ ტექნიკური ბაზა და ანალოგიური პროექტების განხორციელების გამოცდილება, ამასთან „ნავთობგაზმშენკომპლექსის“ მიერ წარმოდგენილი ფასი ჩაითვალა როგორც არაადექვატურად დაბალი). მოლაპარაკებების ეტაპზე „საქმილსადენმშენმა“ პარტნიორთან შეუთანხმებლობის მოტივით უარი განაცხადა აღნიშნული მშენებლობის განხორციელებაზე. საბოლოოდ შეირჩა ტრესტი „ნეფტგაზტიკინტი“, რომელთანაც ხელშეკრულება გაფორმდა 2007 წლის 23 ივლისს (№სხ-64-07) ღირებულებით 18792,2 ათ. ლარი (დღგ-ს ჩათვლით). პროექტი შეადგინა შპს "ცისფერმა ალმა" 2007 წლის 27 მარტის №სხ-17/02-07 ხელშეკრულების საფუძველზე, ღირებულებით 11,0 ათ. ლარი და იგი კორპორაციას ჩაბარდა 2007 წლის 12 ივლისს. პროექტის ექსპერტიზა 5,4 ათ. ლარად განახორციელა შპს "მშენებლობის პროექტის ექსპერტიზამ" (ხელშეკრულება №45, 29.06.2007), დასკვნა კორპორაციას ჩაბარდა 2007 წლის 15 აგვისტოს, „ნეფტგაზტიკინტი“-სთან ხელშეკრულების გაფორმებიდან 3 კვირის შემდეგ. მშენებლობის ნებართვა, რომელიც მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს №140 დადგენილებით მშენებლობის განხორციელების სამართლებრივი საფუძველია, წარმოდგენილი ვერ იქნა.

მილების გადაზიდვა

2007 წლის 20 დეკემბერს კორპორაციასა და ტრესტ „ნეფტგაზტიკინტის“ შორის გაფორმდა 187,6 ათ. ლარის ღირებულების №სხ-142/02-07 ხელშეკრულება. რომლის თანახმად „ნეფტგაზტიკინტის“ უნდა მოეხდინა 1218,5 ტონა მილის გარდაბნის და ველის სარკინიგზო სადგურებიდან ლილოში ტრანსპორტირება. ერთი ტონა მილის დატვირთვა, 50 კილომეტრზე ტრანსპორტირება და ჩამოტვირთვა განხორციელდა 154 ლარად. შედარებისთვის აღვნიშნავთ, რომ ანალოგიურ მომსახურებაში, "გაზის ტრანსპორტირების კომპანიასთან" გაფორმებული ხელშეკრულებების საფუძველზე ერთი ტონა მილის 55 კილომეტრზე ტრანსპორტირებაში

კორპორაციას გადახდილი აქვს - 81 ლარი, ხოლო 30 კილომეტრზე ტრანსპორტირებაში - 55 ლარი (დატვირთვა-ჩამოტვირთვის ღირებულების ჩათვლით).

16.4 კორპორაციის მიერ შესყიდული ბუნებრივი აირი

აუდიტს დაქვემდებარებულ პერიოდში კორპორაციის მიერ სულ შესყიდული ბუნებრივი აირი მოცემულია ცხრილის სახით:

მომწოდებელი	რაოდენობა (მლნ კუბ.მეტრი)
აზერგაზ ნიაგლი	297.2
აზერბაიჯანოს გაზის მომწოდებელო კომპანია	805.9
სამხრეთ-კავკასიური მილსადენის ოფციური გაზის კომპანია	116.4
გაზის ტრანსპორტირების კომპანია	452.6
აზერბაიჯანის რესპუბლიკის ნავთობის სახელმწიფო კომპანია	492.6
სს" ენერჯი ინვესტი	634.2
სულ	**2798.9**

გარდა აღნიშნულისა, კორპორაციას პწგხ-ს ხელშეკრულებების საფუძველზე მიღებული აქვს 15,3 მლნ. კუბ. მეტრი მომყოლი (თანმდევი) გაზი (აქედან ნინოწმინდის საბადოდან - 15,2 მლნ. კუბ. მეტრი).

აუდიტს დაქვემდებარებულ პერიოდში კორპორაციის მიერ სულ მიღებულია 72,3 ათ. ტონა ნავთობი, აქედან სახელმწიფოს კუთვნილი წილის სახით - 32,9 ათ. ტონა. ნედლი ნავთობი კორპორაციას ძირითადად მიღებული აქვს იორის ველისა და ნინოწმინდის საბადოებიდან, შესაბამისად 46,1 ათ. და 22,1 ათ. ტონა.

17. გადასახადები შემოსავლის გარდა

2007, 2008, 2009 წლების განმავლობაში საგადასახადო ხარჯების საერთო თანხის წარმოდგენა შესაძლებელია შემდეგნაირად:

	2009	2008	2007
ქონების გადასახადის ხარჯი	2,341	2,087	912
მიწის გადასახადის ხარჯი	201	75	110
სხვა საგადასახადო ხარჯი	185	391	210
	2,727	2,553	1,232

ქონების გადასახადის მკვეთრი ზრდა 2008 და 2009 წლებში გამოწვეულია, დამოუკიდებელი აუდიტორების მიერ ძირითადი საშუალებების გადაფასებით.

98

18. სხვა ხარჯი

2007, 2008, 2009 წლების განმავლობაში სხვა ხარჯების საერთო თანხის წარმოდგენა შესაძლებელია შემდეგნაირად:

	2009	2008	2007
სხვა ხარჯები	1,212	583	432
მიწოდების სხვა ხარჯი	547	1,023	341
ძირითადი საშუალებების ჩამოწერის ხარჯი	83	35	3
უსასყიდლოდ გადაცემული ქონება	4,590	2,699	54
თანამშრომლებზე გაცემული დანამატები	1	22	44
	6,433	**4,362**	**874**

2009 წლის უსასყიდლოდ გადაცემული ქონების ხარჯის ზრდა გამოწვეულია, 3,892 ათასი ღირებულების "National Petroleum Limited"-ისგან გამოსყიდული ინვესტორის უფლება მოვალეობების გადაცემა სახელმწიფოზე.

18.1 დაკისრებული სანქციები და საურავები

კორპორაციის მიერ ჯარიმებისა და საურავების სახით გადახდილი თანხები მოცემულია ცხრილის სახით:

სანქციის დაკისრების საბაბი	ათ.ლარი
საბაჟო დეკლარაციაში არასწორი მონაცემების შეტანისათვის	306.6
სესხის არათავისდროული გადახდისათვის ("თი ბი სი" ბანკი)	269.7
არქიტექტურულ სამშენებლო საქმიანობაში დარღვევებისათვის	8
საბაჟო დეკლარირების ვადის დარღვევებისათვის	4.3
სესხის გადახდის დაგვიანებისათვის	13.4
სულ	**602**

19. სხვა შემოსავალი

2007, 2008, 2009 წლების განმავლობაში სხვა შემოსავლების საერთო თანხის წარმოდგენა შესაძლებელია შემდეგნაირად:

	2009	2008	2007
"პწგხ"-ს საფუძველზე მიღებული ნავთობი და გაზი	10,550	10,980	10,245
სხვა შემოსავლები	31,489	12,985	1,693
უსასყიდლოდ მიღებული ქონება	1,687	1,448	148
თანამშრომელთა დაჯარიმებიდან შემოსავალი	16	-	-
	43,742	**25,413**	**12,086**

სხვა შემოსავლების დიდი ნაწილი მოიცავს დარიცხულ პირგასამტეხლოებს, რომლის დიდი ნაწილი დარიცხულია შპს „ყაზტრანსგაზ“-სა და სს „იტერა საქართველოზე“.

20. პროდუქციის წილობრივი განაწილების ხელშეკრულება

„ნავთობისა და გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, პროდუქციის წილობრივი განაწილების ხელშეკრულება (პწგხ) არის სახელმწიფოსა და ინვესტორს შორის დადებული ხელშეკრულება, რომლითაც ინვესტორს ენიჭება ნავთობისა და გაზის ოპერაციების წარმოების ექსკლუზიური უფლება. ინვესტორი იღებს ვალდებულებას, თავისი რისკითა და ხარჯებით აწარმოოს ძებნა-ძიებისა და მოპოვების ყველა სამუშაო. სახელმწიფო იღებს ვალდებულებას

ნავთობისა და გაზის აღმოჩენისა და მოპოვების შემთხვევაში ხელი შეუწყოს ინვესტორის მიერ გაწეული ხარჯების ანაზღაურებას. „პწგხ" არეგულირებს სახელმწიფოსა და ინვესტორს შორის ურთიერთობებს, როგორც მოპოვებაზე გაწეული დანახარჯების ანაზღაურების, ასევე მოპოვებული პროდუქციის წილობრივი განაწილების საკითხში.

ინვესტორისთვის ნავთობით ან გაზით ასანაზღაურებელი ხარჯების მონიტორინგი

ინვესტორები ყოველი დასრულებული წლის ბოლოს კორპორაციას წარუდგენენ ინფორმაციას გაწეული დანახარჯების შესახებ. კორპორაციის საფინანსო და „პწგხ"-ს მართვის დეპარტამენტების თანამშრომლებისგან შექმნილი ჯგუფი ახდენს შემდგომ ამ ხარჯების აუდიტორულ შემოწმებას. შემოწმების შედეგად დადასტურებული ასანაზღაურებელი ხარჯები განიხილება საკოორდინაციო კომიტეტზე და მტკიცდება როგორც კორპორაციის, ასევე ინვესტორის მხრიდან.

კომპანია "ფრონტერა რისორსიზ ჯორჯიას" (შემდგომში "ფრონტერა") 2007 წლის ფინანსური განაცხადით წარმოდგენილი ხარჯები (53682,6 ათ. აშშ. დოლარი), მიუხედავად აუდიტის მიერ დადასტურებისა (53678,4 ათ. აშშ დოლარი), კორპორაციამ ასანაზღაურებელ ხარჯებად არ მიიჩნია 2007 წლის ბიუჯეტის საკოორდინაციო კომიტეტის სხდომაზე დაუმტკიცებლობის გამო; 2008 წლის ფინანსური განაცხადით წარმოდგენილ ხარჯებს (54013,5 ათ. აშშ დოლარი) აუდიტი არ ჩატარებია, ვინაიდან "ფრონტერას" 2008 წლის ბიუჯეტი საკოორდინაციო კომიტეტზე წარმოდგენილი და შესაბამისად დამტკიცებული არ იყო (2007-2008 წლის ხარჯების ანაზღაურებაზე მხარეებს შორის მიმდინარეობს დავა და საკითხი ჯერ არ არის გადაწყვეტილი); 2009 წლის ფინანსური განაცხადით წარმოდგენილი ხარჯების (26030,4 ათ. აშშ დოლარი) აუდიტი ამჟამად მიმდინარეობს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2000-დან 2006 წლამდე პერიოდში „ფრონტერას" მიერ დაფიქსირებული ხარჯები არ არის დადასტურებული კორპორაციის მხრიდან, რადგან აღნიშნული პერიოდის ხარჯების აუდიტი ჩატარებული არ არის. „პწგხ"-ს თანახმად, აუდიტი უნდა ჩატარდეს დასრულებული წლიდან 12 თვის განმავლობაში. გამოდის, რომ ხსენებულ პერიოდზე აუდიტის ჩატარებას კორპორაცია ვეღარ განახორციელებს, შესაბამისად ვერ დადგინდება რამდენად რეალური იყო ეს ხარჯები და რამდენად ექვემდებარებოდა ისინი საკომპენსაციო ნავთობით ანაზღაურებას.

უნდა აღინიშნოს, რომ "ფრონტერა" საქართველოში ნავთობს მოიპოვებს 1997 წლიდან. 1997-2009 წლებში მისი ფინანსური განაცხადებიდან გამომდინარე საკომპენსაციო ნავთობიდან ასანაზღაურებული აქვს 248,3 მლნ. აშშ დოლარის ხარჯი. მთელი ამ პერიოდის განმავლობაში სახელმწიფოს მისგან არ მიუღია არც ერთი ტონა ნავთობი, ანუ "ფრონტერას" მიერ ამოღებული ნავთობი მთლიანად ხარჯების ანაზღაურებას ხმარდებოდა და მოგების ნავთობი არ რჩებოდა. საკითხის მნიშვნელობა იზრდება, თუ გავითვალისწინებთ, რომ აუდიტს დაქვემდებარებულ პერიოდში "ფრონტერას" მიერ წარმოდგენილი ხარჯები (133,7 მლნ. აშშ დოლარი) 2-ჯერ აღემატება ყველა დანარჩენი ინვესტორის მიერ წარმოდგენილ ხარჯებს ერთად აღებულს (66,1 მლნ. აშშ დოლარი).

ინვესტორები ბალანსების შედგენისას, ყოველთვის არ ეთანხმებიან აუდიტის შედეგებს, მაგალითად: "ნინოწმინდის ნავთობის კომპანიაზე" 2009 წელს აუდიტით ამტკიცებული ასანაზღაურებელი ხარჯებია 2712,4 ათ. აშშ დოლარი, ხოლო ინვესტორის ბალანსში

100

ასანაზღაურებელი ხარჯების სახით ასახულია 2784,2 ათ. აშშ დოლარი (2009 წლის აუდიტის შედეგები განხილვის პროცესშია). ამავე კომპანიაზე 2008 წელს ნავთობიდან და გაზიდან ანაზღაურებული ხარჯები კორპორაციის მონაცემებით არის შესაბამისად 8967,4 ათ. და 957,8 ათ. აშშ დოლარი, ხოლო ინვესტორის მონაცემებით - 8955,3 ათ. და 382,8 ათ. აშშ დოლარი.

საკომპენსაციო ნავთობი და გაზი

„პწგხ“-ით ინვესტორს უფლება აქვს, ყოველ კალენდარულ კვარტალში ხელმისაწვდომი ნავთობიდან დაფაროს წინა პერიოდებში გაწეული საოპერაციო და კაპიტალური ხარჯები, ხელშეკრულებებში დაფიქსირებული პროცენტული მოცულობებით. კორპორაცია დაინტერესებული უნდა იყოს ინვესტორზე განაწილებული ნავთობის მაღალი სარეალიზაციო ფასით, რათა ინვესტორის ხარჯების ანაზღაურებას დაჭირდეს უფრო ნაკლები ოდენობის საკომპენსაციო ნავთობი. შემოწმებით აღმოჩნდა, რომ კორპორაცია უფრო ძვირად ყიდის მის წილ ნავთობს ვიდრე ინვესტორები.

კომპანია 2007 წელი	სასაქონლო ნავთობი (ტ)	ნეკ (სნგკ) წილი (ტ)	კონტრაქტორის წილი (ტ)	ფასდაკლება "სნგკ"	ფასდაკლება კონტრაქტორი	მიღებული დანაკარგი (დოლარში)
კანარგო ნორიო (2000)	27.43	6.86	20.57	7.30	8.50	186.10
ნინოწმინდას ნავთობის კომპანია	21,508.84	7,528.09	13,980.75	7.30	7.87	61,628.55
ფრონტერა რისორსიზ ჯორჯია	4,533.57	-	4,533.57	7.30	10.50	109,386.00
სულ	**26,069.83**	**7,534.95**	**18,534.88**	**7.30**	**8.96**	**171,200.65**

კომპანია 2008 წელი	სასაქონლო ნავთობი (ტ)	ნეკ (სნგკ) წილი (ტ)	კონტრაქტორის წილი (ტ)	ფასდაკლება "სნგკ"	ფასდაკლება კონტრაქტორი	მიღებული დანაკარგი (დოლარში)
ნინოწმინდას ნავთობის კომპანია	20,905.52	7,506.53	13,071.96	7.01	8.67	155,987.25
ნ[illegible]რიოს ნავთობ კომპანია	261.94	-	261.94	7.01	8.50	2,935.89
ფ[illegible]ინტერა რისორსიზ ჯორჯია	8,625.65	-	8,625.65	7.01	10.90	252,960.98
სულ	**29,793.11**	**7,506.53**	**21,959.55**	**7.01**	**9.64**	**411,884.12**

კომპანია 2009 წელი	სასაქონლო ნავთობი (ტ)	ნეკ (სნგკ) წილი (ტ)	კონტრაქტორის წილი (ტ)	ფასდაკლება "სნგკ"	ფასდაკლება კონტრაქტორი	მიღებული დანაკარგი (დოლარში)
ნინოწმინდას ნავთობის კომპანია	19,632.56	6,871.40	12,761.16	6.60	9.00	231,147.23
ნორიოს ნავთობ კომპანია	559.89	-	559.89	6.60	8.50	8,030.62
ფრონტერა რისორსიზ ჯორჯია	13,080.26	-	13,080.26	6.60	9.72	307,494.81
სულ	**33,294.55**	**6,876.86**	**26,417.69**	**6.60**	**8.83**	**546,672.66**

ანალოგიური მდგომარეობაა თანმდევი (მომყოლი) გაზის შემთხვევაშიც. მისი მიღება ხდებოდა ძირითადად „ნინოწმინდის ნავთობის კომპანიის” მიერ, რომელიც აღნიშნულ გაზს ყიდდა აუქციონის გარეშე, პირდაპირი მიყიდვის წესით. გაზის გაყიდვა ხშირად კომერციულად წამგებიან პირობებში მიმდინარეობდა. მაგალითად, როგორც აღნიშნული კომპანიის 2009 წლის ინვესტიციების აუდიტის დასკვნიდან ირკვევა, მის მიერ 2009 წლის განმავლობაში რეალიზებული გაზის საშუალო შეწონილმა ფასმა შეადგინა 128,33 აშშ დოლარი, ხოლო

კორპორაციის ანალოგიურმა მაჩვენებელმა - 189,17 აშშ დოლარი, რის გამოც აუდიტის ჯგუფის მიერ ინვესტორი კომპანიის მიერ აღნიშნული გაზის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი დაექვემდებარა კორექტირებას.

ქვემოთ მოცემულია ნავთობით და გაზით ასანაზღაურებელი დანახარჯების და გასანაწილებელი მოგების ნავთობის და გაზის წილობრივი მაჩვენებლები:

ინვესტორი	*საკომპენსაციო ნავთობით და გაზით ასანაზღაურებელი ხარჯები (საოპერაციო, კაპიტალური)*	*მოგებული ნავთობის და გაზის განაწილება (სახელმწიფო, ინვესტორი)*	სალიცენზიო ბლოკი	ხელშეკრულების დადების თარიღი
ნინოწმინდის ნავთობის კომპანია	50%-მდე	70%-30%	XIE	15/02/1996
ფრონტერა რესორსიზ ჯორჯია კორპორეიშენ	100%	51%-49%	XII	25/06/1997
ف[illegible]ნტერა რესორსიზ ჯორჯია კორპორეიშენ 2012 წლიდან	80%	51%-49%	XII	25/06/1997
ფრონტერა რესორსიზ ჯორჯია კორპორეიშენ 2017 წლიდან	60%	51%-49%	XII	25/06/1997
კანარგო ნაზვრევი	100%-50%	50%-50%	XIII	20/02/1998
კანარგო ნაზვრევი (ხარჯების ანაზღაურების შემდეგ)	-	60%-40%	XIII	20/02/1998
კანარგო ნორიო (2000)	100%-50%	50%-50%	XIC	12/12/2000
კანარგო ნორიო (2000) (ხარჯების ანაზღაურების შემდეგ)	-	60%-40%	XIC	12/12/2000
კანარგო ნორიო	100%-50%	50%-50%	XIG, XIH	28/06/2003
კანარგო ნორიო (ხარჯების ანაზღაურების შემდეგ)	-	60%-40%	XIG, XIH	28/06/2003
აქსაი ბი-ემ-სი	50 %-მდე	50%-50%	V	03/04/2007
აქსაი ბი-ემ-სი (ხარჯების ანაზღაურების შემდეგ)	-	63%-37%	V	03/04/2007
სტრეიტ ოილ ენდ გეზი	50 %-მდე	50%-50%	VIA, VIB	29/03/2007
სტრეიტ ოილ ენდ გეზი (ხარჯების ანაზღაურების [illegible]ეგ)	-	65%-35%	VIA, VIB	29/03/2007
გლობალ ოილ ენდ ენერჯი ლიმიტედი	100%-50%	50%-50%	VIIB, VIII	03/04/2007
გლობალ ოილ ენდ ენერჯი ლიმიტედი (ხარჯების ანაზღაურების შემდეგ)	-	60%-40%	VIIB, VIII	03/04/2007
ჯინდალ პეტროლეუმ (ჯორჯია) ლიმიტედ	100%-40%	60%-40%	VIIA, IX, X,XIIIA	15/01/2009
ჯინდალ პეტროლეუმ (ჯორჯია) ლიმიტედ (ხარჯების ანაზღაურების შემდეგ)	-	70%-30%	VIIA, IX, X,XIIIA	15/01/2009
ჯინდალ პეტროლეუმ (ჯორჯია) ლიმიტედ	50 %-მდე	54%-46%	XIB	24/03/2009
ჯინდალ პეტროლეუმ (ჯორჯია) ლიმიტედ (ხარჯების ანაზღაურების შემდეგ)	-	72%-28%	XIB	24/03/2009
ნორიოს ნავთობის კომპანია	100%-50%	50%-50%	XIC	16/06/2008
ნორიოს ნავთობის კომპანია (ხარჯების ანაზღაურების შემდეგ)	-	60%-40%	XIC	16/06/2008

102

21. პოტენციური ვალდებულებები

იურიდიული ვალდებულებები

კორპორტაციას ჩვეული საქმიანობის პროცესში საქმე აქვს სასამართლო სარჩელებსა და პრეტენზიებთან. კომპანიის ხელმძღვანელობა თვლის, რომ სარჩელებისა და პრეტენზიების შედეგად წარმოშობილ ვალდებულებებზე მაქსიმალური პასუხისმგებლობა არ იქონიებს არსებით გავლენას ფინანსურ მდგომარეობაზე ან კომპანიის მომავალ ოპერაციებზე.

22. კომპანიის საქმიანობის უწყვეტობა

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისეთი დაშვების საფუძველზე, რომელიც გულისხმობს, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას განუსაზღვრელი დროით მომავალში. ეს ვარაუდი ითვალისწინებს აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებების დაფარვას ჩვეული საქმიანობის პროცესში. ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს მასში ასახული აქტივების თანხების რაიმე სახის კორექტირებებს, რომელიც აუცილებელი იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას არ ექნებოდა მომავალში საქმიანობის გაგრძელების შესაძლებლობა ან მოახდენდა საკუთარი აქტივების რელიზაციას არა თავისთვის ჩვეული საქმიანობის პირობებში.

23. ბალანსის შემდგომი მოვლენები

არაკორექტირებადი მოვლენა

საქართველოს მთავრობის 2010 წლის 10 სექტემბრის განკარგულებით, კომპანიას 60,072 ათასი ლარიდან 2010 წლის 16 აგვისტოს მდგომარეობით დარჩენილი სესხის ძირითადი თანხა 10,629 ათასი ლარი და 2009 წლის 29 იანვარს აღებული 15,000 ათასი ლარის ოდენობით სასესხო ვალდებულებები ეპატია და მოხდა ამ თანხების ჩამოწერა.

ბალანსის შემდგომი მაკორექტირებელი მოვლენები, რომლებიც არ არის დაკორექტირებული ფინანსურ ანგარიშგებაში:

- დებიტორი სს „თბილსრესი“, რომლის დავალიანება შეადგენდა 5.4 მლნ. ლარს არის გაკოტრებული;
- დებიტორი „საქართველოს ელექტროენერგიის საბითუმო ბაზარი“ - რომლის დავალიანება შეადგენდა 0.7 ლარს არის გაკოტრებული;
- მიმდინარეობს დებიტორ შპს "გაზმშენი"-ს გაკოტრების საქმე - დებიტორული დავალიანება კორპორაციის წინაშე შეადგენს 0.4 მლნ. ლარს.

24. დაკავშირებული მხარეები

საბალანსო მუხლი	კავშირი "სნგკ"-სთან	2009	2008	2007
მიღებული სესხები				
საქართველოს ფინანსთა სამინისტრო	დაკავშირებული მხარე	151,605	164,043	133,083
დებიტორული დავალიანება				
სს ქართლიგაზი	დაკავშირებული მხარე	316	-	-
სს საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია	დაკავშირებული მხარე	-	-	170
		151,921	**164,043**	**133,253**

მოგება–ზარალის მუხლი	კავშირი "სნგკ"-სთან	2009	2008	2007
გაზის რეალიზაციასთან დაკავშირებული შემოსავლები				
სს თბილსრესი	დაკავშირებული მხარე	1,255	41,293	16,779
სს საგარეჯო გაზი	დაკავშირებული მხარე	1,342	1,596	276
შპს საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანია	შვილობილი საწარმო	23,302	19,458	6,932
იჯარით მიღებული შემოსავლები				
სს თელეთის ნავთობის კომპანია	დაკავშირებული მხარე	-	-	30
სხვა შემოსავლები და (ხარჯები)				
შპს საქგეოსერვისი	დაკავშირებული მხარე	-	(3)	(2)
SARMATIA	შვილობილი საწარმო	-	(1)	-
სს თელეთის ნავთობის კომპანია	დაკავშირებული მხარე	-	-	(7)
		25,899	**62,343**	**24,008**

შპს „გაზის ტრანსპორტირების კომპანიას“ კორპორაციისაგან იჯარით აქვს აღებული მაღალი წნევის მაგისტრალური გაზსადენი, მანქანა-მექანიზმები, საოფისე ფართი და სხვა ქონება. აუდიტს დაქვემდებარებულ პერიოდში საიჯარო ქირის სახით კორპორაციის სასარგებლოდ დარიცხულია 49692,6 ათ. ლარი. თავის მხრივ კომპანიას მიწოდებული აქვს 452,6 მლნ. კუბ. მეტრი გაზი 81254,6 ათასი ლარის ღირებულებით. გარდა აღნიშნულისა კორპორაციის დაკვეთით კომპანიას შესრულებული აქვს 9111,4 ათ. ლარის ღირებულების სამშენებლო, სარეაბილიტაციო და სხვა სამუშაოები, საიდანაც 4712,0 ათ. ლარის სამუშაოები (მათ შორის 382,2 ათ. ლარის - უსასყიდლოდ) შესრულებულია კორპორაციასთან

104

ხელშეკრულების გაფორმების გარეშე, მხოლოდ წერილობითი დავალებების საფუძველზე. აუდიტს დაქვემდებარებულ პერიოდში საკუთარი ძალებით შესრულებულია 4656,8 ათ. ლარის, ხოლო ქვეკონტრაქტორების მეშვეობით - 4454,6 ათ. ლარის სამუშაოები. ქვეკონტრაქტორების მიერ წარმოდგენილ ხარჯთაღრიცხვას (დღგ-ს გარეშე) კომპანიის მიერ დამატებული აქვს მოგება 186,9 ათ. ლარის ოდენობით, რომელიც ანაზღაურებულია კორპორაციის მიერ (კორპორაციასა და კომპანიას შორის ანგარიშსწორება უმეტეს შემთხვევაში ხორციელდება ურთიერთჩათვლების სახით შედარების აქტების საფუძველზე).

კორპორაციის დირექტორთა საბჭოს 2009 წლის 8 მაისის №11 და 28 ოქტომბრის №27 დადგენილებებით, 2008 და 2009 წლებში კომპანიიდან მისაღები დივიდენდები 33500,0 ათ. ლარის ოდენობით გაიქვითა კომპანიის მიმართ ბუნებრივი გაზის გადაუხდელობით წარმოშობილ კორპორაციის დავალიანებაში. 2010 წლის 1 იანვრისთვის კორპორაციას კომპანიის სასარგებლოდ ერიცხებოდა 1721,1 ათ. ლარის (გაზის ღირებულება) კრედიტორული დავალიანება.

აუდიტის ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ეკონომიკური საქმიანობის სფეროს
აუდიტის დეპარტამენტის
უფროსის მოადგილის მ/შ — გიორგი კეკელიშვილი

აუდიტორი — ანა ალავერდაშვილი